აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№3 (25.131) 26 იანვარი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, მთიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

მიმზიდველი ტურისტული მიმართულება – ოთხივე სეზონზე

ტურიზმის მზარდი სტატისტიკისა და 2024 წელს დაგეგმილი საერთაშორისო პროექტების შესახებ იმსჯელეს აჭარის მთავრობაში გამართულ შეხვედრაზე

მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, 2023 წელს აჭარაში ვიზიტების რაოდენობამ 4,3 მლნ-ს გადააჭარბა, მზარდია ტურისტული ნაკადები ბათუმსა და მაღალმთიან აჭარაში, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები კი 30%-ით გაიზარდა. როგორც შეხვედრაზე ითქვა, 2023 წელი რეგიონისთვის ტურისტული თვალსაზრისით, გამორჩეული იყო. აჭარამ ვიზიტიორთა ნაკადების სრულად აღდგენა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა შეძლო.

სამუშაო თათბირზე ყურადღება გამახვილდა სარეკლამო და მარკეტინგულ კამპანიებზე, რომელსაც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2024 წელს სამიზნე ქვეყნებში განახორციელებს. შეხვედრის ფარგლებში იმსჯელეს ყველა იმ მნიშვნელოვან პლატფორმაზე, რომლის მეშვეობითაც მოხდება ვიზიტიორების მოზიდვა საქართველოში, ასევე, იმ პროექტებზე, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას რეგიონში. აჭარის მთავრობის მთავარი სტრატეგიაა აჭარა გახდეს მიმზიდველი ტურისტული მიმართულება ოთხივე სეზონზე.

2023 წელს ტურიზმიდან და მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა ქვეყანაში შეადგინა 3.3 მილიარდი დოლარი რაც გულისხმობს 30%-ით მატებას. აჭარაში შიდა და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ პირველად 4,3 მილიონს გადააჭარბა. რეგიონში ვიზიტების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით, გაზრდილია +25.3%-ით. მზარდია სტატისტიკა მთიანი აჭარის ტურისტულ მარშრუტებზეც, სადაც ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა 20%-ით. აჭარაში აქტიურად გრძელდება მდგრადი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება.

თორნიკე რიჟვაძე: საქართველოს ევროპული მისწრაფება პრიორიტეტად რჩება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ საზღვაო რეგიონების ასოციაციის (CPMR) პოლიტიკური ბიუროს ონლაინშეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს

CPMR-ის პოლიტიკური ბიუროს შეხვედრაზე აჭარის მთავრობის მეთაურმა საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ საქართველოს ევროპული მისწრაფება რჩება პრიორიტეტად და მაქსიმუმი კეთდება, რომ საქართველო ძალიან მალე გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ამ გზაზე კი მნიშვნელოვანია CPMR-ის წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე საზღვაო რეგიონების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით არის არჩეული.

საზღვაო რეგიონების ასოციაცია 1973 წელს დაარსდა. CPMR-ის წარმომადგენლობა ამჟამად 150 რეგიონს და დაახლოებით 200 მილიონ ადამიანს აერთიანებს. ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ეროვნულ მთავრობებში კონტაქტების ფართო ქსელის საშუალებით, ორგანიზაცია უზრუნველყოფს წევრი რეგიონების საჭიროებების და ინტერესების დაცვას.

მოახლოებული არჩევნები - რას ფიქრობენ «გახარიას» პარტიაში? 2

რატომ არ უნდა დაუშვას დასავლეთმა რუსეთის გამარჯვება 3

პრიორიტეტი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვაა 4

მშობლებო, აკონტროლეთ არასრულწლოვნების ინტერნეტაქტივობები 5

პაატა ქათამაძე: მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, წინ თებერვალ-მარტია 6

...და ჩვენ ვთამაშობთ «ბედნიერობანას» 7

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მოახლოებული არჩევნები – რას ფიქრობენ „გახარიას" პარტიაში?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაახლოებით 10 თვე დარჩა და პოლიტიკურმა პარტიებმა უკვე დაიწყეს შიდა სივრცეში, არაოფიციალურად, არჩევნებისთვის მზადება. მმართველ გუნდში მარცხს გამორიცხავენ, მეტიც, ამბობენ, რომ ყოველგვარი საარჩევნო კამპანიის გარეშე „ქართული ოცნება" უპრობლემოდ აიღებს 60%-ს, ოპოზიციაში კი აცხადებენ, რომ პირიქით, „ოცნება" ძალიან დაბალ პროცენტს აიღებს და 2024 „ქართული ოცნების" ხელისუფლების დასრულების წელი იქნება. ოპოზიციურ პარტიებს ახლად შექმნილი პარტიებიც შეემატება, რომლებიც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

*დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია პარტია „საქართველოსთვის" აჭარის ფლანგის წარმომადგენელი **არჩილ სამნიძე**, რომელიც საარჩევნო მარათონსა და ოპოზიციაში არსებულ მდგომარეობაზე გვესაუბრება.*

- გარკვეულწილად, საარჩევნო მარათონი არაოფიციალურად მიმდინარეობს. იქმნება სხვადასხვა პლატფორმა. რას გვეტყვით თქვენს პარტიაზე?

- თამამად შეიძლია გითხრათ და მაქვს ამის ობიექტური პრეტენზიაც, რომ დღეს წარმოდგენილ ძირითად პოლიტიკურ პარტიათა შორის გახარიას პოლიტიკური გუნდი - „საქართველოსთვის" არის ყველაზე თანმიმდევრული პოლიტიკურ ნაბიჯებსა თუ გადაწყვეტილებებში და გაცხადებული პრინციპებისა და ღირებულებების ერთგულია. პარტიაში პირველივე დღიდან ვართ შეთანხმებულნი ქვეყნის მოწყობის ფუნდამენტურ პრინციპებზე და აქედან გამომდინარე, გვაქვს ჩვენი სამოქმედო სტრატეგიული ხაზი, რომლისთვისაც არ გადაგვიხვევია პარტიის არსებობის არცერთ ეტაპზე. ოფიციალურად ჯერ არ გახსნილა საარჩევნო კამპანია, მაგრამ ჩვენი პარტია უკვე აქტიურად მუშაობს მოსახლეობასთან, გვაქვს უშუალო კომუნიკაცია. 2023 წლის მიწურულს პარტიის ლიდერმა გიორგი გახარიამ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გამართა შეხვედრები როგორც პარტიის აქტივთან, ასევე მოსახლეობასთან და საკმაოდ ნაყოფიერიც გამოდგა. ამიტომაც ვუყურებ იმედიანად მოახლოებულ არჩევნებს. ეს პროცესი აუცილებლად გაგრძელდება უფრო მეტი ჩართულობითა და ინტენსივობით. მიმდინარე წელს პარტიაში დაგეგმილი გვაქვს ყრილობაც და ძირითად სამოქმედო გეგმებზე იქ ვისაუბრებთ.

- თქვენი პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ არ აპირებენ თანამშრომლობას მმართველ პარტიასა და „ნაცმოძრაობასთან", არადა, საარჩევნო ბარიერს თქვენს პარტიასთან ერთად ზემოაღნიშნული პარტიებიც გადალახავენ. გამორიცხავთ რომელიმე პარტიასთან თანამშრომლობას?

- ჩვენი პარტია აცხადებს, რომ არ აპირებს კოალიციაში შესვლას არც „ქართულ ოცნებასთან" და არც „ნაციონალურ მოძრაობასთან", რადგან ვთვლით, რომ ეს ორი ერთმანეთის მკვებავი პარტია ჩვენი ქვეყნის გუშინდელი და გუშინწინდელი დღეა. ჩვენი მიზანია, რომ არჩევნებში ვერც „ოცნებამ" და ვერც „ნაცმოძრაობამ" ჯამში ვერ აიღოს 50%-ზე მეტი. ეს რაც შეეხება კოალიციას, თანამშრომლობა კი სხვა რამეა. იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტური ინტერესებია და მისი უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისთვის საჭიროა სიტუაციური თანამშრომლობა, ჩვენ ამოვდივართ ქვეყნის საუკეთესო ინტერესებიდან და თანამშრომლობაზე უარს არ ვამბობთ. გვქონია კიდეც თანამშრომლობის გამოცდილება, როცა ჩვენი გუნდის ლიდერები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ჯგუფში, რათა საქართველოს შეესრულებინა ის რეკომენდაციები, რაც კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე დაგვაკისრა ევროკომისიამ. სხვა საქმეა, როგორ შეასრულა ეს ხელისუფლებამ, მაგრამ ჩვენ თანამშრომლობაზე უარი არ გვითქვამს და არც ძალისხმევა დაგვიშურებია.

- თქვენს პარტიას აკრიტიკებს როგორც მმართველი გუნდი, ისე ოპოზიცია. ერთნი მოღალატეებად გთვლიან, მეორენი - ფსევდოოპოზიციად. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

- ელემენტარულ, მარტივ ჭეშმარიტებასთან გვაქვს საქმე, რომელსაც არ სჭირდება ღრმა პოლიტიკური ანალიზი. ჩვენი პარტიის მზარდი რეიტინგითა და სწორხაზოვანი, თანმიმდევრული პოლიტიკით გვაქვს სათანადო რეიტინგი და გამომდინარე აქედან, ვართ ბარიერი ორივე დასახელებული პარტიისთვის. ჩვენი სახით, სწორედ, ეს ბარიერი ერთს უშლის ხელს დაბრუნდეს ხელისუფლების სადავეებთან, ხოლო მეორეს - შეინარჩუნოს ერთპიროვნული მართვის სადავეები, აღნიშნული ფაქტორები კი ქმნის ბუნებრივ შიშს. აბსოლუტურად ობიექტური ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ორივე პარტიას ეშინია გახარიას პოლიტიკური პარტიის. ჩვენ მათთვის წარმოვადგენთ ეგზისტენციალურ საფრთხეს და შესაბამისად - სწორადაც ეშინიათ. ამიტომ არ აკლებს არცერთი სუბიექტი ჩვენ წინააღმდეგ თავდასხმებს, მაგრამ ეს ჩვენს პარტიას, პირიქით, უფრო აძლიერებს.

- ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ თქვენი ამომრჩეველი, ძირითადად, „ქართული ოცნების" ამომრჩეველია. რას ფიქრობთ?

- ამ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, ჩვენ ქვეყნის ნებისმიერ ამომრჩეველს, მათ გამოხატვის თავისუფლებას ვცემთ პატივს და არ ვყოფთ ამომრჩეველებს ჩვენიანებად და სხვისიანებად. მოქალაქის ხმა მუდმივად არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის. ამას არჩევნების დღეს, საარჩევნო ყუთთან წყვეტს უშუალოდ ამომრჩეველი, რომელიც პოლიტიკოსს აძლევს დროებით მანდატს და აკისრებს ვალდებულებას. სწორედ დაკისრებული ვალდებულების შესრულება უნდა ისწავლონ პოლიტიკოსებმა პირველ რიგში და ჩადგნენ ხალხის სამსახურში და არა - პირიქით. შესაძლოა ჩვენს პარტიას მხარი დაუჭირონ როგორც დღეს მოქმედმა საჯარო მოხელეებმა, ისე „ქართული ოცნების" ყოფილმა ამომრჩეველმა, ან სხვა ნებისმიერი პარტიის ყოფილმა ამომრჩეველმა. ჩვენ ეს არ ვიცით და თითოეული ამომრჩევლის ხმას ვუფრთხილდებით. ჩვენი ამომრჩეველია, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქე, ვისთვისაც ყველაზე ახლოს ჩვენი პარტიის ხედვა და პრინციპები დგას და არ ვახდენთ ამ მოქალაქეთა სეგრეგაციას ვინ, როდის და ვის მისცა ხმა.

- სხვა ოპოზიციურ პარტიებზეც ვისაუბროთ. თქვენი აზრით, შეძლებს თუ ვერა „ნაციონალური მოძრაობა", დარჩეს არჩევნებში მყარ ოპოზიციურ ძალად?

- არ მინდა ბევრი ვისაუბრო წარსულში ჩარჩენილ პოლიტიკურ პარტიაზე. „ნაცმოძრაობა" არის ქრესტომათიული მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა იქცეოდეს პოლიტიკური პარტია როგორც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ისე - ოპოზიციაში. ერთადერთი, რაშიც ამ პარტიამ სტაბილურობა აჩვენა, არის წლების განმავლობაში დაშლის თანდათანობითი და შეუქცევადი პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება და დიდი ალბათობით, არც მომავალში დასრულდება. ზოგადად, რაც უფრო მცირდება ამ პარტიის გავლენები ოპოზიციურ ველზე, მით უკეთესი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული პროცესებისთვის, თუმცა ეს ხელს არ აძლევს დღევანდელ ხელისუფლებას, რადგან „ნაცმოძრაობის" დასუსტებასთან ერთად, სუსტდება „ოცნების" წლების განმავლობაში ნაშენები პროპაგანდისტული ხაზიც - „თუ მე არ დავრჩი ხელისუფლებაში, ალტერნატივად გყავთ საკაშვილი და მისი პარტია." აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „ოცნების" მმართველობის ბოლო ჟამი ძალიან ჰგავს „ნაცმოძრაობის" მმართველობის ბოლო ჟამს და მათ შორის ზღვარი თითქმის აღარ არსებობს.

> *„პარტია, რომლის ძირითადი სალაპარაკო თემა წლების განმავლობაში იყო ივანიშვილის ოლიგარქია და არაფორმალური მმართველობა, დღეს გვევლინება ასეთივე მმართველობის ნათელ მაგალითად. მათ ჰყავთ პარტიაში ოლიგარქიც და არაფორმალური მმართველიც კეზერაშვილისა და მერაბიშვილის სახით"*

იხ. მე-9 გვ.

ქვირის ქრონიკა

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წელს, საპროგნოზო მონაცემებით, 55 ათას ტონამდე ციტრუსი იყო მოსალოდნელი. დღეის მდგომარეობით ექსპორტირებულია - 23 821 000 აშშ დოლარის 36 893 ტონა სტანდარტული მანდარინი. რაც შეეხება არასტანდარტულ მანდარინს, 3 386 471 ლარის 11 288 ტონა ციტრუსია გადამუშავებული, საიდანაც სახელმწიფო სუბსიდიამ 2 822 059 ლარი შეადგინა. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადამუშავების არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდია გაორმაგდა და მეციტრუსე ფერმერებმა სახელმწიფოს მხრიდან, 15 თეთრის ნაცვლად, 30 თეთრი მიიღეს. „2023-2024 წლის ციტრუსის აქტიურ სეზონზე მუშაობდა 20-მდე საწარმო, ხოლო დღეის მდგომარეობით საექსპორტო მანდარინს იღებს ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი 6 საწარმო. ასევე, რეგიონს გარეთ კიდევ რამდენიმე დამხარისხებელი პუნქტი ფუნქციონირებს. ნარინჯისფერი რთველის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რეგიონში ციტრუსის რეალიზაციის საკოორდინაციო შტაბი გახსნა, რომელიც ორგანიზებას უწევს მანდარინის ჩაბარების პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას", - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

„USAID განათლება მომავლისთვის" პროგრამის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უნივერსალური დიზაინის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის განყოფილების დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ელიზაბეტ ფრიასი ბსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ორი დღის განმავლობაში იხილავდა სწავლის უნივერსალური დიზაინის ძირითად ელემენტებს, დიფერენცირებული სწავლების განსხვავებებს და სწავლის უნივერსალური დიზაინის ჩარჩოს: ჩართვა, ინფორმაციის წარდგენა, ქმედება და გამოხატვა. შეხვედრა გახსნა, მონაწილეებს მიესალმა და განათლება მომავლისთვის" პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა ბსუ-ის რექტორმა მერაბ ხალვაშმა.

* * *

სურსათის ეროვნული სააგენტო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, წელსაც იწყებს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესახებ, შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე, მერის მოადგილეები, ასევე ქედის მუნიციპალიტეტის მერი, შუახევისა და ხულოს მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრის უფროსმა ლაშა შალამბერიძემ და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა არჩილ ბერიძემ და მირიან ქათამაძემ, კიდევ ერთხელ აღნიშნეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისთვის ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის აქტიური ჩართულობა.

* * *

ბათუმის ოთხი დიდი სავაჭრო ცენტრიდან მოქალაქეთა ევაკუაცია განხორციელდა. „მეტრო სითის", „გრანდ მოლის", „ბათუმი პლაზასა" და „ბათუმი მოლის" ტერიტორია თანამშრომლებს და იქ მყოფ მოქალაქეებს პოლიციის მითითებით დაატოვებინეს. არსებული ინფორმაციით, ევაკუაცია შენობებში ასაფეთქებელი მოწყობილობების არსებობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ განხორციელდა. შენობებში კინოლოგებიც მუშაობდნენ. დათვალიერების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, სადაც წერია, რომ ბათუმში ასაფეთქებელი მოწყობილობების შესახებ შეტყობინებები განხორციელდა ქვეყნის ფარგლებს გარედან, მითითებული იყო საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის ტელეფონის ნომერი. „მიმდინარე წლის 21 იანვარს შემოვიდა შეტყობინებები ქალაქ ბათუმში სხვადასხვა ლოკაციაზე შესაძლო ასაფეთქებელი მოწყობილობების განთავსების შესახებ. მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დანაყოფებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარდა სპეციალური ღონისძიებები ბათუმის სავაჭრო ცენტრებსა და სასწავლო დაწესებულებებში, სადაც ასაფეთქებელი ნივთიერება ან მოწყობილობა აღმოჩენილი არ ყოფილა", - ნათქვამია განცხადებაში.

* * *

ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის №35/67-ში მდებარე შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებაზეა წარდგენილი. ეს ისტორიული შენობა (აგების თარიღი XX საუკუნის 50-იანი წლები) საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი სახასიათო და მიმზიდველი ნიმუშია, რომლის ზუსტი ანალოგი ქალაქში არ აღინიშნება. გამოირჩევა ფასადის მხატვრული გაფორმებითა და შესრულების კარგი დონით.

„შენობა ფრონტალურად იშლება ორი ისტორიული ქუჩის მიმართულებით და საკვანძო გეგმარებითი მდებარეობით აგვირგვინებს ვაჟა-ფშაველას ქუჩის აღნიშნულ ნაწილზე არსებულ ძეგლთა არქიტექტურულ ანსამბლს", - ნათქვამია აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების მოძალებაა. კურორტსა და სოფელ დანისპარაულში არსებული სასტუმროები სრული დატვირთვით მუშაობს. ქვეყნისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გოდერძის განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამის დასტურია კურორტზე გამართული სამუშაო შეხვედრა, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძე უძღვებოდა. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ რეგიონის სამინისტროების, უწყებების, „მთის კურორტების კომპანიის", საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე და ფრიდონ ფუტკარაძე. აღინიშნა, რომ სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე აქტიურად ხორციელდება 28-ზე მეტი საინვესტიციო პროექტი, რომლის ფარგლებშიც ხულოს მუნიციპალიტეტში ჩაიდება 200 მილიონი ლარის ინვესტიცია და დამატებით შეიქმნება 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილი. გოდერძიზე იწყება ახალი საბაგირო გზის მშენებლობა, რომლის სიგრძე 1,3 კილომეტრი იქნება. გრძელდება ხულო-ზარზმის გზის რეაბილიტაციაც. მისი დასრულება მიმდინარე წელსაა დაგეგმილი.

* * *

სათხილამურო კურორტი გოდერძი 17-18 თებერვალს ფესტივალ „გიზ-გიზს" უმასპინძლებს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ფესტივალი 2-4 თებერვალს გუდაურში, 9-11 თებერვალს ბაკურიანში, ხოლო 1-3 მარტს მესტიაში ჩატარდება. „ფესტივალის ფარგლებში, ჩემპიონატების პერიოდში, დამსვენებლის მოსაზიდად ზამთრის გასართობი სოფლები მოეწყობა, დაგეგმილია პერფორმანსები, თამაშები და გასართობი აქტივობები. მთელი დღის განმავლობაში მუსიკალურ გაფორმებაზე იზრუნებენ ბენდები და დიჯეები.

მოეწყობა სამეწარმეო ბაზარი ზამთრის, სრიალისა და მთის თემატიკის შესახებ, ასევე, კვების სივრცეები, ბარი, ფოტო და საბავშვო ზონები. საფესტივალო ტერიტორია აღჭურვილი იქნება გამათბობლებით", - აღნიშნულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ფესტივალზე დასწრება თავისუფალია.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

რატომ არ უნდა დაუშვას დასავლეთმა რუსეთის გამარჯვება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ასიათასობით დაღუპული და დაჭრილი, მილიონობით ლტოლვილი, განადგურებული ქალაქები და სოფლები - ეს მცირედი ჩამონათვალია იმ სიბოროტისა, რასაც რუსეთი უკრაინაში ჩადის... ორი წელია, რუსეთ-უკრაინის ომი მიმდინარეობს და უკვე გარკვეული დასკვნის გაკეთება შეიძლება. უკრაინამ შეძლო არა მხოლოდ გამკლავებოდა რუსულ არმიას, არამედ შეძლო ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაც. დასავლეთის დახმარება და უკრაინელთა თავგანწირვა რომ არა, კრემლი შეძლებდა მთავარი მიზნის (უკრაინის სრულ ოკუპაციას) მიღწევას. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ომი შესაძლოა კიდევ რამდენიმე წელი მაინც გაგრძელდეს

ამჟამად რა ვითარებაა ომის ფრონტზე? რამდენად დაინტერესებულია დასავლეთი რუსეთის რეალური მარცხით? რას უნდა ველოდოთ სამომავლოდ? - ამ საკითხებზე გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა-ს) პროფესორი ***ბიორგი კოკერიძე.***

- ბატონო გიორგი, თითქმის ორი წელია, უკრაინაში ომი მიმდინარეობს, რა ცხადყო მან?

- განვლილმა ორმა წელმა გამოავლინა სამი რამ: 1. რუსეთის არმიის ბრძოლის ველზე დამარცხება შესაძლებელია; 2. დასავლეთის გადაღლა და გამოფიტვა ვერ მოხდა. პირიქით, მივიღეთ პოლიტიკურად გამოღვიძებული დასავლეთი, რომელიც აქცენტს გადაიარაღებაზე აკეთებს, რაც ომამდე მეორეხარისხოვანი იყო; 3. ავტოკრატიული რეჟიმები ერთ, მყარ ბანაკად ჩამოყალიბდნენ - რუსეთი, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და ირანი ამ ღერძის ბირთვს ქმნიან. მათთვის თითოეული წევრის წარმატება ან წარუმატებლობა მნიშვნელოვანია, მაგრამ, როგორც წესი, ავტოკრატიები ღირებულებებისაგან დაცლილ ძალას ქმნიან, მხოლოდ მოკლევადიანი ინტერესებით მოქმედებენ და, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთსაც გაწირავენ, მაგრამ ამ ეტაპზე საერთო მტრის - დასავლეთის ირგვლივ არიან გაერთიანებულნი.

- სამწუხაროდ, უკრაინის კონტრშეტევამ, გარკვეულწილად, ფიასკო განიცადა, რასაც სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ...

- უკრაინულმა შეტევამ მხოლოდ მინიმალური წარმატება მოიტანა, თუმცა ისეთი დასახლებისთვის, როგორიც ველიკა ნოვოსილკაა დონეცკის ოლქში, დიდი შვება გამოდგა უკრაინული იერიში, რომელმაც მას რუსული არმიის ნახევარრკალისებური ალყა მოუხსნა და სამხრეთით კიდევ 5 დასახლების გათავისუფლება მოხერხდა. ზაპორიჟიას ოლქში უკრაინელებმა შეძლეს რობოტინესა და ლობკოვეს გათავისუფლება. რობოტინეზე რუსული თავდაცვის ხაზი გადიოდა. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ უკრაინელებმა მდინარე დნეპრი გადალახეს და ერთის მხრივ დაჩების ტერიტორია დაიკავეს, ხოლო მეორე მხრივ, მდინარის მეორე მხარეს, ურთულეს რელიეფურ პირობებში, პლაცდარმი შექმნეს კრინკისთან, სადაც საბრძოლო მოქმედებები ახლაც გრძელდება. ცხადია, ეს ყველაფერი ლოკალური წარმატებაა და სტრატეგიულ წინსვლას არ მოასწავებს. ლოგიკურია, რომ უკრაინელებმა დასკვნები უნდა გამოიტანონ. პირველ რიგში კი ის, რომ რუსები საბჭოთა მეთოდებით მოქმედებენ და აქცენტს ცოცხალი ძალის რაოდენობაზე აკეთებენ.

- საჰაერო მხარდაჭერის გარეშე კონტრშეტევა რამდენად გამართლებული იყო და ამ მხრივ, F-16-ის გადმოცემა რამდენად მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის თვალსაზრისით?

- უკრაინელებს სჭირდებოდათ, ეჩვენებინათ დასავლეთისათვის და საკუთარი მოსახლეობისთვის, რომ ფრონტის ხაზი არ იყო გაყინული და ბახმუტის აღების მიუხედავად, ინიციატივა კვლავ უკრაინელთა ხელში იყო. ამიტომაც ჰქონდა ამ კონტრშეტევას არა მხოლოდ სამხედრო, არამედ საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობაც კი. ამ ყველაფერმა ბევრი სხვა რამაც გამოაჩინა, პირველ რიგში კი ის, რომ უკრაინას თავდაცვისათვის შეიძლება საკმაოდ ბევრი იარაღი აქვს, მაგრამ შეტევითი პოტენციალისათვის კიდევ უფრო მეტი სჭირდება.

- პოზიციური ომი რა საფრთხეს შეიცავს უკრაინისთვის?

- სამხედრო თვალსაზრისით, ვხედავთ, რომ რუსეთი ცდილობს აქტიური სამხედრო პოზიციის შენარჩუნებას და პოზიციური ომების პირობებშიც კი ინიციატივის ქონას, ეს კი მათი მხრიდან მზარდ დანაკარგს განაპირობებს ხოლმე. ახლა, დონეცკის ოლქის ქალაქ ავდიივკაზე შტურმისა, რუსების მხრიდან კოლოსალურ დანაკარგს ვადევნებთ თვალს. რეალისტური მონაცემებით, ოქტომბრიდან დღემდე 20 ათასზე მეტ მოკლულზეა საუბარი, რაც გამორჩეულად დიდი ციფრია. იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინელები ავდიივკას დაცვას 2014 წლიდან ეწევიან და კარგად აქვთ ის ფორტიფიცირებული, მათი დანაკარგი ბევრად ნაკლებია. როგორც წესი, ხუთჯერ ნაკლებია ხოლმე. ცხადია, ამ ციფრებში დაშავებულებსა და დაჭრილებზე ვერ ვისაუბრებთ.

- „ამერიკის მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი დახმარება მხოლოდ გადარჩენისთვის იყო საკმარისი და არა გამარჯვებისთვის“, - განაცხადა ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილმა მეთაურმა, გენერალმა ბენ ჰოჯესმა. ეს რისი მანიშნებელია?

- ეს ღია მოწოდებაა დასავლეთისადმი, რომ უკრაინის გამარჯვებას მეტი რესურსების მობილიზება სჭირდება. საუბარი არაა მხოლოდ ფინანსებზე, არამედ იარაღზეც. კოლექტიური უსაფრთხოება ძალიან კარგი რამაა, რადგან ყველამ ის უნდა გაიღოს საერთო მოკავშირის დასაცავად, რაც აქვს, მაგრამ როდესაც ამ კოლექტიური უსაფრთხოების მიღმა სხვა, არაწევრი სახელმწიფოს იარაღით აღჭურვაზე მიდგება ხოლმე საქმე, სიტუაცია რთულდება, რადგან ამ შემთხვევაში ყველას ცოტ-ცოტა აქვს და ამ მცირე რაოდენობის იარაღის გადაცემით ფრონტის ხაზზე იარაღის სინქრონიზაცია არ ხდება და განსხვავებული ტიპის იარაღის ათვისებაც შესაბამისად ჭირს ხოლმე. ამიტომაა ახლა მნიშვნელოვანი, რომ აშშ-მა და დიდმა ევროპელმა მწარმოებლებმა აიღონ თავის თავზე უკრაინის მასობრივი შეიარაღება მსგავსი იარაღით.

- დასავლელი ლიდერები ამბობენ, რომ არ დაუშვებენ უკრაინის დამარცხებას, მაგრამ რამდენადაა დაინტერესებული დასავლეთი რუსეთის რეალური მარცხით, ანუ მათთვის რუსეთის მარცხი რა ზღვარზე გადის?

- რუსეთის ნებისმიერი ფორმით გამარჯვება დასავლეთის უსაფრთხოებას ძალიან საშიშ პრეცედენტს უქადის. დასავლეთს აკვირდება ჩინეთიც, ირანიცა და სხვა ავტოკრატიული რეჟიმებიც. თუკი დასავლეთმა რაიმე დაუთმო რუსეთს, მივიღებთ ახალ ომებს სხვაგან. არც ისაა გამორიცხული, დასავლეთის გადაღლილობაში დარწმუნებულმა რუსეთმა ახალი ავანტიურები წამოიწყოს ევროპის სხვა მიმართულებით, პირველ რიგში კი ბალტიის სამ სახელმწიფოსთან მიმართებით. ამასთან, მისი აგრესიის მსხვერპლი ბელარუსი ან ყაზახეთი რომ გახდეს, არც ეს უნდა გაგვიკვირდეს. ძალიან საშიში პრეცედენტი იქნება ეს ჩვენთვისაც. ამიტომ საეჭვოა, დასავლეთმა რაიმე დაუთმოს რუსეთს. ახლანდელი რეალობა დასავლეთისათვის სარგებლიანია - რუსეთი უკრაინაში ჭაობშია ჩაფლული, ხოლო დასავლეთს დროის მოგებისა და გადაიარაღებისათვის ახალი შესაძლებლობა დაუდგა.

- უკრაინისთვის დაახლოებით 300 მილიონი დოლარის გადაცემა შიდა დაპირისპირების მიზეზი გახდა აშშ-ის კონგრესში, რა შეიძლება ითქვას ამ მხრივ?

- რეალურად, საუბარია 60 მილიარდზე მეტი დოლარის დახმარებაზე. აშშ-ის შიდა კრიზისი უკრაინის გამო არ დაწყებულა, ეს ერთი, ძალიან მცირე ნაწილია პარტიებს შორის დიდი დაპირისპირებისა. ახლა ის მდგომარეობაა, როდესაც რესპუბლიკელები დემოკრატების ყველა აქტივობას აკრიტიკებენ და პირიქით, დემოკრატები-რესპუბლიკელებისას. საარჩევნო წელია და კრიზისი რომ გაგრძელდეს, გამორიცხული არ არის.

- ამ ბოლო დროს საფრანგეთი, ასევე დიდი ბრიტანეთი და გერმანია აქტიურად ეხმარებიან უკრაინას შეიარაღებით. როგორც ჩანს, ისინი აცნობიერებენ რუსეთიდან მომავალ საფრთხეს...

- ომი ევროპის კონტინენტზე მიმდინარეობს. ერთი სახელმწიფოს იმედად არავინ უნდა იყოს, სარისკოა, სხვა თუ არაფერი. შესაბამისად, მხოლოდ აშშ-ის იმედად ყოფნა ყოველთვის შეცდომა იყო, მით უმეტეს, გერმანიასაც და დიდ ბრიტანეთსაც სამხედრო ინდუსტრიული შესაძლებლობები საკმაოდ დიდი ჰქონდათ და ახლაც ასეა.

- რა არის უკრაინისა და რუსეთისთვის მაქსიმუმი და მინიმუმი ამ ომში?

- უკრაინამ, პირველ რიგში, უნდა შეძლოს ინიციატივის მყარად დაბრუნება. ყირიმის ადმინისტრაციულ საზღვრამდე მიღწევა და აზოვის ზღვამდე გასვლა უზარმაზარ სამხედრო და პოლიტიკურ დივიდენდს მოუტანდა უკრაინას. ამჯერად რუსეთი ცდილობს, საკუთარი თავი უკრაინაში ურყევ ზღუდედ და ბასტიონად წარმოადგინოს. თუკი უკრაინამ შეძლო და რუსული თავდაცვა გაარღვია, ეს იქნება რუსეთის დასასრულის დასაწყისი.

- თუ უკრაინა ამ ომში ვერ გაიმარჯვებს (ვგულისხმობ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას), დადგება თუ არა, ზოგადად, ევროპის უსაფრთხოება კითხვის ქვეშ?

- აუცილებლად. 1945 წლის შემდეგ პირველი წარმატებული დაპყრობითი ომის პრეცედენტი იქნება ევროპის კონტინენტზე, ანუ ერთი სახელმწიფოსგან მეორე სახელმწიფოს ნაწილის წარმატებით დაპყრობისა და ამის შერჩენისა. თუ ეს მოხდა, დიდი ალბათობით, გაიხსნება ძველი ჭრილობები ევროპის კონტინენტზე, პირველ რიგში ბალკანეთში, შემდეგ კი დანარჩენ ევროპაშიც.

- ვხედავთ იმასაც, რომ უკრაინული არმია მნიშვნელოვან ზიანს აყენებს რუსეთის ფლოტს შავ ზღვაში. ოჩამჩირეში რუსული სამხედრო გემების განთავსება რა საფრთხეს შეიცავს საქართველოსთვის?

- ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი აქტივობა და მისი შედეგი ოკუპანტის ბრალეულობაა. ეს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითაც ასეა. შესაბამისად, რაც უნდა მოხდეს, ეს ოკუპანტი ძალის ბრალი იქნება, ზოგადად კი იმ აგრესორის სამხედრო ფლოტის განთავსება საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც გამოუცხადებელი ომი აქვს საქართველოსთან, ღია აგრესიის გაგრძელებაა მის მიმართ. და ირიბად თუკი ვინმე ითრევს საქართველოს ომში, ეს სწორედ რუსეთია, თუმცა ომის ფაქტობრივად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის შანსი, პრაქტიკულად, მაინც მინიმალური რჩება, მაგრამ ოჩამჩირეში რუსული ფლოტი მხოლოდ უკრაინელთა სამიზნედ გახდომის გამო არ არის საშიში, არამედ იმიტომაც, რომ ეს ფაქტობრივი ანექსიის დაწყების ნიშანია.

- დასავლურ პრესაში იწერება იმის შესახებ, რომ უკრაინაში კორუფციაა, ასევე, შიდა პოლიტიკური დაპირისპირებაც საგრძნობია. ყოველივე ეს რა საფრთხეს უქმნის უკრაინას მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში?

- უკრაინა უდიდესი შესაძლებლობების ქვეყანაა, რომელიც კორუფციამ გამოხრა. ათწლეულები გრძელდებოდა ასე. ახლაც სრულად არაა კორუფცია დაძლეული. თუკი კორუფცია დამარცხდება, უკრაინის სამხედრო ინდუსტრიას წარმატების მეტი შანსი გაუჩნდება და რესურსებიც უკეთ განაწილდება. ამასთან, არაკორუმპირებული და სამართლიანი სახელმწიფოს დაცვა ბევრად მეტ მოქალაქეს უღირს, ვიდრე სხვაგვარი სახელმწიფოსი.

- დაბოლოს, დღევანდელი უკრაინისა და ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, როგორია საქართველოს მომავალი?

- რუსეთს საქართველოსათვის არ სცალია. ეს დრო ჩვენ გაძლიერებისა და დასავლურ ორგანიზაციებში ინტეგრაციისთვის უნდა გამოვიყენოთ.

> ***„რუსეთის ნებისმიერი ფორმით გამარჯვება დასავლეთის უსაფრთხოებას ძალიან საშიშ პრეცედენტს უქადის. დასავლეთს აკვირდება ჩინეთიც, ირანიცა და სხვა ავტოკრატიული რეჟიმებიც. თუკი დასავლეთმა რაიმე დაუთმო რუსეთს, მივიღებთ ახალ ომებს სხვაგან. არც ისაა გამორიცხული, დასავლეთის გადაღლილობაში დარწმუნებულმა რუსეთმა ახალი ავანტიურები წამოიწყოს...***

ეკონომიკური სანქციები – მძლავრი იარაღი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საერთაშორისო პოლიტიკაში სხვადასხვა სახელმწიფოზე ზემოქმედებისთვის სანქციები რომ უმთავრესი იარაღია, არაა ახალი ამბავი. ამ იარაღს სხვადასხვა აქტორი (აშშ, ევროკავშირი), ძირითადად, იმ ქვეყნების მიმართ იყენებენ, რომლებიც არ ითვალისწინებენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს

ამ მხრივ რუსეთი ყველაზე აგრესიული სახელმწიფოა - 21-ე საუკუნეში იგი საკაცობრიო დანაშაულს სჩადის, ომი უკრაინაში ამის თვალსაჩინო მაგალითია, რისი შედეგიცაა ასიათასობით დაღუპული, მილიონობით ლტოლვილი, აღარაფერს ვამბობ განადგურებულ ინფრასტრუქტურასა და ეკოციდზე. დასავლეთმა ამ აგრესორ სახელმწიფოს ეკონომიკური სანქციები დაუწესა. რა შედეგი მოჰყვა ამას? - გვესაუბრება პარტია „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერი ***არჩილ ბერიძე.***

- ვხედავთ, რომ მსოფლიო არასტაბილური გახდა, ეკონომიკური სანქციები, „ნავთობის ომი“, „სასურსათო შანტაჟი“ რა ფაქტორებმა განაპირობა?

- რუსეთის უკრაინაში შეჭრამ მსოფლიო კვლავ არასტაბილური გახადა. რეალურად, ცივილიზებული სამყარო დაუპირისპირა ბოროტების იმპერიას და მის მოკავშირე დიქტატორებს. დასავლეთს რუსეთის დამარცხება ეკონომიკური სანქციებით სურს, რუსეთი კი კვლავ ნავთობით „ვაჭრობს“. რა თქმა უნდა, ეს მოსალოდნელი იყო და დიდი გამოცდაა ევროპისთვის. ეჭვგარეშეა, რომ დღეს დასავლეთის ბედი უკრაინაში წყდება.

- თითქმის ორი წელია, რაც რუსეთს სანქციები დაუწესდა. არის ის შედეგი, დასავლეთი რომ ელოდა?

- რუსეთი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება სანქციებს. გასაკვირი არაა, რომ მან დაიწყო მოკავშირეების ძებნა და შავი ხვრელიც იპოვა, რათა სანქციებისთვის გვერდი აევლო. გულწრფელად რომ ვთქვათ, ევროპის გათვლა ძალიან გრძელვადიანია. რუსეთს მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით ვერ დაამარცხებ მაშინ, როცა ომი აქტიურ ფაზაშია. სანქციებს ჰქონდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამაზიანებელი შედეგი (რუსული რუბლის გაუფასურება, რუსული ნავთობის გასაღების ბაზრის შემცირება, დეფოლტის რისკი), თუმცა არასაკმარისი, რადგან რუსეთის სასარგებლოდ, თამაშში ირანი და ჩინეთიც ჩაერთო, ევროპა კი, ბიუროკრატიიდან გამომდინარე, თავდაპირველად თავშეკავების პოლიტიკას მიჰყვებოდა. რუსეთის ამ პოლიტიკით დამარცხება წარმოუდგენელია, საჭიროა მკაფიო და სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა, ომის გაწელვა რუსეთს ვერ დაასუსტებს. მათ არ უნდა ჰქონდეთ დრო, საკუთარ შეცდომებზე ისწავლონ. ევროპამ ეს კარგად უნდა გაიაზროს.

იხ. მე-4 გვ.

პრიორიტეტი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვაა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბარათაულის ადმინისტრაციული ერთეული 4 სოფელსა და ორ დასახლებულ უბანს ითვლის. აქაა გომარდულის სამთო-სათხილამურო კურორტიც. ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ მდგომარეობასა და სხვა პროცესებზე შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ჯუმბერ ძათამაძე გვესაუბრება

- უკვე შევუდექით იმ პროგრამებისა და პრიორიტეტების განხორციელებას, რომლებსაც მიმდინარე წლის გაზრდილი ადგილობრივი ბიუჯეტი ბარათაულის თემის 4 სოფელსა და დასახლებულ უბნებში ითვალისწინებს. მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა ჩვენი მთავარი პრიორიტეტია იმ სოციალური, ეკონომიკური, თუნდაც ტურისტული პროგრამების გათვალისწინებით, რომლებსაც საკმაოდ მომატებული ადგილობრივი ბიუჯეტი მოიცავს. 10 წლის წინ ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელობა რომ მანდეს, მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა წამლების სიძვირის გამო. საქმეში ხან მაჟორიტარ დეპუტატ ანზორ ბოლქვაძეს ვრთავდი, ხან რეგიონისა და ადგილობრივ ხელმძღვანელებს ვაწუხებდით და მათ ხელს ვუმართავდით. ეს პრობლემა უკვე მოხსნილია. ყველა პაციენტის მკურნალობა ქვეყნის კლინიკებში თითქმის უფასოა. გარდა ამისა, ჩვენი თემიდან რამდენიმე ადამიანმა უცხოეთშიც გაიარა მკურნალობის კურსი. უფრო მეტიც - სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები, შშმ პირები, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 200-200 ლარიან პაკეტს იღებენ სამკურნალო პრეპარატების შესაძენად. პროფესიით პედაგოგი ვარ. ის დროც კარგად მახსოვს, პრობლემები რომ ექმნებოდათ სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებს მოსწავლეებისთვის საჭირო სახელმძღვანელოების შეძენისას. ეს პრობლემაც მოხსნილია. ბარათაულის, გომარდულის, ზემოხევისა და ვანის საჯარო სკოლების მოსწავლეები სახელმძღვანელოებს უფასოდ იღებენ. მთის სოფლებში გზების კეთილმოწყობა, სარწყავი და სასმელი წყლების სისტემების მოწესრიგება ისევ რჩება მთავარ მიმართულებად.

- ამა წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთავარი მიმართულებების განხილვა პირველად თქვენს ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა...

- ესეც იმ ყურადღების დასტური იყო, რასაც შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ჩვენდამი იჩენს. რამდენიმე წლის წინ რომ მეთქვა, კურორტ გომარდულის ორი მიმართულებით ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზა გვექნებაო, მეოცნებედ ჩამთვლიდნენ. ასევე, ვერავის დავაჯერებდით, რომ ბეტონის საფარი დაიგებოდა ვანსა და ზემოხევში მისასვლელ გზებზე. შპს „აჭარისწყლის ალიანსი“ მიმდინარე წლიდან შუახევის მუნიციპალიტეტში გერმანიის მიერ შემოთავაზებული პროექტის განხორციელებას იწყებს. წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემის მოწესრიგება სოფლებს სასიკეთოდ წაადგება. ძირითადი მაგისტრალი ჩვენს ტერიტორიაზე გაივლის. ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების განხილვისას, მოსახლეობის წარმომადგენლებმა მოითხოვეს სარწყავი არხების შეკეთება, გარე განათების მოწესრიგება, ვანი-გორაჩრდილას საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია, რაც ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, კვლავ პრიორიტეტულია. ზაფხულობით მეცხოველეებს პირუტყვი აჭარა-გურიის ქედის კალთებზე არსებულ საძოვრებზე გადაჰყავთ. უკვე ყველა მთაში დენი გავიყვანეთ, მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული გზების მოსაწესრიგებლად, ხიდების ასაშენებლად, თუმცა მთის მკაცრი კლიმატი არ გვანებივრებს, მდინარე გუბაზოული უნდა გადალახონ მეცხოველეებმა, რომ გრძელგორზე, ყავრიანსა და კატრიანზე პირუტყვი დაბინაონ. ორჯერ გაკეთდა ხიდი გრძელგორზე მისასვლელად და ზვავმა, გადმოსულმა მდინარემ გაანადგურა. დროა, ახალი ხიდი გაკეთდეს.

- სამთო-სათხილამურო კურორტი გომარდული თქვენი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზეა. მისი განვითარებისთვის რა კეთდება?

- ქვეყნისა და რეგიონის ხელმძღვანელობა აჭარის მთიანეთში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარებას და ტურისტული პოტენციალის ათვისებას დიდ ყურადღებას უთმობს. ეს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა კურორტ გოდერძიზე გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე უძღვებოდა. კურორტ გომარდულზე მალე დაიწყება ახალი სასრიალო ტრასის მშენებლობა. ისიც სათქმელია, რომ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის განყოფილებამ ტექნიკის მობილიზებით მოახერხა, რომ წლევანდელ ზამთარში ერთი დღითაც არ შეფერხებულა საავტომობილო მიმოსვლა. ახლაც ყველა ტიპის ტრანსპორტითაა შესაძლებელი გადაადგილება. ა(ა)იპ „შუახევის სპორტულ ცენტრს“ გომარდულზე სპორტული სექცია აქვს გახსნილი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით სპორტსმენებს თხილამურები შეუძინეს და სეზონის დაწყების წინ საზეიმოდ გადასცეს. წელს „თეთრი ტრასები“ რამდენიმე შეჯიბრებას უმასპინძლებს, მათგან მნიშვნელოვანი „გომარდულის თასის“ გათამაშება იქნება. ამ ტრასებზე რამდენიმე სპორტსმენი მომზადდა, რომლებმაც ქვეყნის მასშტაბით გაიბრწყინეს. ახალი ტრასის მოწყობის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა დაეუფლება თხილამურებზე სრიალს.

- აჭარის მთიანეთის სოფლების მოსახლეობას სტიქიის შემოტევა ცხოვრების ნორმალურ რიტმს ურღვევს. თქვენთან რა მდგომარეობაა?

- წინა საუკუნის 70-იან წლებში ვანში ჩამოწოლილმა ზვავმა უბედურება მოუტანა ადგილობრივებს. იმ დროიდან დაიწყო ამ სოფლის დაცარიელება. პროცესები ახლაც გრძელდება და მოსახლეობა სიფრთხილეს იჩენს. აქ ზამთრობით ძალიან ცოტა ოჯახი რჩება. ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, მიგრაციამ სოფელი დააცარიელა, მოსწავლეთა კონტინგენტი ერთნიშნა ციფრზე ჩამოვიდა. კიდევ ერთი უბედურება: ხანძარმა რამდენიმე წლის წინ ორი საცხოვრებელი სახლი და დამატებითი სათავსები შეიწირა. ერთდროულად ორი სახლი დაიწვა სოფელ ბარათაულშიც. მეწყრული პროცესი საფრთხის წინაშე აყენებს სოფელ ზემოხევის მოსახლეობასაც. სპეციალისტების დასკვნების საფუძველზე, დაზარალებულ ოჯახებს 50-50 ათასი ლარი გადაეცემათ ახალი საცხოვრისის მოსაწყობად. ზვავ-მეწყრის გამო დაცარიელდა სოფელ ბარათაულში ერთი უბანი. ჯერ კიდევ ზამთარია, არავინ უწყის, რას გვიქადის გაზაფხულიც. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, პრევენციული ღონისძიებები ტარდება საშიში ტერიტორიებიდან მოსახლეობის გასახიზნად.

> ***„ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, მიგრაციამ სოფელი დააცარიელა, მოსწავლეთა კონტინგენტი ერთნიშნა ციფრზე ჩამოვიდა. კიდევ ერთი უბედურება: ხანძარმა რამდენიმე წლის წინ ორი საცხოვრებელი სახლი და დამატებითი სათავსები შეიწირა. ერთდროულად ორი სახლი დაიწვა სოფელ ბარათაულშიც. მეწყრული პროცესი საფრთხის წინაშე აყენებს სოფელ ზემოხევის მოსახლეობასაც. სპეციალისტების დასკვნების საფუძველზე, დაზარალებულ ოჯახებს 50-50 ათასი ლარი გადაეცემათ ახალი საცხოვრისის მოსაწყობად. ზვავ-მეწყრის გამო დაცარიელდა სოფელ ბარათაულში ერთი უბანი***

- ამ პროცესებს ერთი ან ორი პიროვნება ვერ მოაგვარებს...

- რეგიონის, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელების თანადგომაზე უკვე ვთქვი. არ ვიქნები მართალი, ამაგი რომ არ დავუფასო მაჟორიტარ დეპუტატებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრიდონ ფუტკარაძეს და მურად ქათამაძეს. ანზორ ბოლქვაძე ხანძრისგან დაზარალებულ ოჯახებს ორჯერ სურსათითა და პირველადი მოთხოვნის საშუალებებით დაეხმარა. რამდენიმე ჰუმანიტარული აქციაც გამართეს ბარათაულში არსებული შშმ პირების ოჯახების დასახმარებლად, რაშიც ჩვენც ვიყავით ჩართულნი. კეთილ სიტყვებს არ დავიშურებ დაბა შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლეების მისამართით, რომლებიც ზემოხეველ თანატოლებს დაეხმარნენ. ბატონ ანზორის ინიციატივით, ბათუმში იმყოფებოდნენ თბილისის წამყვანი კლინიკების ექიმები, რომლებმაც ადგილობრივებს უფასო სამედიცინო კონსულტაციები ჩაუტარეს. რაკი ჯანმრთელობის დაცვაზე ჩამოვარდა საუბარი, ამაგი გვინდა დავუფასოთ ბარათაულის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ექიმ გურამ ქარცივაძეს. მრავალმა მისმა კოლეგამ სოფელი მიატოვა და სხვაგან გადავიდა სამუშაოდ. ის უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ თანასოფლელთა და თანარაიონელთა სამსახურში ჩადგა.

- სკოლამდელი დაწესებულება როგორ მუშაობს?

- ოთხი სოფლის დედებისა და მათი შვილების სამსახურშია ბარათაულის ბაგა-ბაღი, რომლის მენეჯერია ქეთინო ირემაძე. ხელმძღვანელი და მომსახურე პერსონალი დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევს. თავის დროზე სკოლამდელ დაწესებულებას საფოსტო განყოფილებისთვის განკუთვნილი შენობა დაუთმეს. ბაღის ადმინისტრაცია ტერიტორიის კეთილმოწყობას ითხოვს, რაზეც პირობა უკვე მიიღეს, შენობას კი შეკეთება სჭირდება.

- სოფელი, საზოგადოება პატივს მიაგებს 2008 წლის აგვისტოს ომის გმირს ამირან მამალაძეს. ადგილობრივი ახალგაზრდობა ქართულ ჯარში სამსახურზე რას ფიქრობს?

- ამირან მამალაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. იგი პირადი სურვილით წავიდა ქართულ ჯარში. მისი გმირობა, სამშობლოსადმი თავდადება თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისთვის. ჩვენთან იშვიათობაა ქართულ ჯარში სამსახურისათვის თავის არიდების შემთხვევები. დღეს ჩვენი თემიდან რამდენიმე ჭაბუკი მსახურობს ქართულ ჯარში. უკვე ქალიშვილებიც გამოთქვამენ ჯარში წასვლის სურვილს. ამირან მამალაძის უკვდავსაყოფად ბევრი გაკეთდა. მის სახელს ატარებს ბარათაულის საჯარო სკოლა, სადაც მისივე სახელობის კაბინეტი გვაქვს. ქართულ ჭიდაობაში, აღმოსავლურ ორთაბრძოლაში მისი სახელობის ტურნირები იმართება. ამირანი სათხილამურო სპორტში აჭარის ჩემპიონატის პრიზიორი იყო. უკვე გაჩნდა აზრი, რომ ახალ სასრიალო ტრასას, რომელიც გომარდულში მალე გვექნება, მისი სახელი მიენიჭოს. ჩვენ, შესაბამისი ორგანოები, თანადგომას არ ვაკლებთ ამირანის მშობლებს, ოჯახს.

ეკონომიკური სანქციები – მძლავრი იარაღი

მე-3 გვერდიდან

- როგორც ჩანს, რუსეთი ჯერჯერობით უმკლავდება დასავლურ სანქციებს...

- რიგ შემთხვევებში რუსეთს კრიზისი აქვს სხვადასხვა მიმართულებით. მათ უჭირთ ახალი ტექნიკის შექმნა სანქციებით გამოწვეული ტექნოლოგიების დეფიციტის გამო. ბევრმა დასავლურმა კომპანიამ დატოვა რუსეთი, მაგრამ მხოლოდ ეკონომიკური ზიანის მიყენება რუსეთისთვის, მისი დამარცხების გარანტიას არ გვაძლევს. თანაც ირანი და ჩინეთი (დასავლური ქვეყნების ნაწილიც) ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ რუსეთთან ვაჭრობას. სანქციებმა ევროპა გახადა უფრო დამოუკიდებელი, ვიდრე ოდესმე, თუმცა რუსეთის მოსალოდნელი დასუსტება დროში გაიწელა.

- სხვათა შორის, ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ მოსკოვზე ზემოქმედებისთვის მთავარი ნავთობზე ფასის დაწევაა, როგორც ეს თავის დროზე რეიგანმა გააკეთა, ახლაც შესაძლებელია ამგვარი რამ?

- ეს ძალიან რთული საკითხია. თუ რუსული ნავთობის ფასი თვითღირებულებაზე ნაკლები იქნება, ეს რუსული ეკონომიკის კოლაფსს გამოიწვევს, თუმცა ამის მოხერხება ურთულესია, წარმოუდგენელიც კი. ამ პროცესში მხოლოდ ამერიკის მონაწილეობა არ იქნება საკმარისი, სხვა ნავთობმომპოვებელი ქვეყნები, რომლებიც ამერიკის პოზიციებს არ იზიარებენ, არ დათანხმდებიან მსგავს შეთანხმებაზე. თუ დასავლეთს სურს ეს მოცემულობა მიიღოს, მაშინ რუსეთის გასაღების ბაზარიც უნდა შეუმციროს და დაბრკოლებები შეუქმნას, ეს კი ნამდვილად დაზიანებს რუსეთს როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, რაც მის სამხედრო პოტენციალზეც აისახება.

- რუსი ოპოზიციონერი გარი კასპაროვი აცხადებს, რომ თუ დასავლეთი რეალურ სანქციებს დაუწესებს რუსეთს, პუტინის რეჟიმი დიდხანს ვერ გაძლებს ხელისუფლებაში. მაინც რა რესურსი აქვს კრემლს სანქციებთან საბრძოლველად?

- ევროპამ მაქსიმალურად უნდა გადაუჭრას რუსეთს გზები, მათ შორის მოკავშირეების ჩამოშორების გზით. ასე რუსეთი ჩიხში მოექცევა და რესურსს სწორად ვერ გამოიყენებს (ომმა აჩვენა, რომ ლოჯისტიკა და რესურსის ეფექტიანად გამოყენება რუსეთის სუსტი წერტილია). კასპაროვის მოსაზრება რეალობასთან ძალიან ახლოსაა. სანქციების ეტაპობრივად დაწესება საკმარისი არ არის რუსეთის დასამარცხებლად, დასავლეთმა სრულიად უარი უნდა თქვას რუსულ ნავთობსა და პროდუქციაზე, ასევე, არ უნდა მისცეს მას საშუალება, რომ სანქციებს გვერდი აუაროს.

- რჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი მომაკვდინებელ სანქციებს არ უწესებს რუსეთს, ქვეყანა რომ არ დაიშალოს და ამით საფრთხე არ შეექმნას მსოფლიო სტაბილურობას.

- ეს მოსაზრება ძალიან საკამათოა. დასავლეთს რუსეთის დასუსტება სურს, თუმცა ისე, რომ ჩინეთი კიდევ უფრო არ გაძლიერდეს (ამერიკის მთავარი კონკურენტი ახლა სწორედ ჩინეთია), ამიტომაც ცდილობს, რუსეთის დაშლა უმტკივნეულო იყოს მსოფლიოსთვის, თუმცა მეორე მხარეს უკრაინაა, რომელიც მთელი მსოფლიოს ნაცვლად ებრძვის ბოროტების იმპერიას. დასავლეთი რთული არჩევანის წინაშე დადგა, როცა ჩინეთმა ანტიდასავლური მხარე ღიად დაიჭირა. ახლა დასავლეთს უწევს, ებრძოლოს რუსეთს და მის მოკავშირეებს ისე, რომ უკრაინა არ დაზიანდეს, ამიტომ ცდილობს, ფრთხილად იმოქმედოს.

- ამას წინათ მასმედიით გაუღერდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა ამერიკაში გაყინული რუსეთის აქტივი - 600 მილიარდი უკრაინას გადასცენ. მსგავსი პრეცედენტები რამდენად დააზარალებს რუსეთს გრძელვადიან პერიოდში?

- ეს უკრაინისთვის ძალიან კარგი იქნება, ვინაიდან ექნება გაძლიერებისა და ფეხზე დადგომის შესაძლებლობა, ხოლო რუსეთს ამხელა აქტივის დაკარგვა დააზიანებს როგორც ფინანსურად, ისე პრესტიჟულად, რაც რუს ოლიგარქებს პუტინის მიმართ უნდობლობას გაუჩენს და შესაძლოა, დაპირისპირებაშიც გადაიზარდოს. ეს რუსეთის ჯარში კრიზისს გამოიწვევს და მისთვის საბედისწეროც შეიძლება აღმოჩნდეს.

- დაბოლოს, წყდება თუ არა უკრაინაში ევროპის და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი?

- რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ცივილიზებულ სამყაროს აჩვენა, რომ რუსეთი მსოფლიოსთვის საშიშია. დღეს უკრაინაში წყდება ევროპის ბედი, ვინაიდან რუსეთის დამარცხების შემთხვევაში ევროპა უფრო უსაფრთხო იქნება, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს კი განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ. სხვა შემთხვევაში, რუსეთი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდება და უფრო მეტ არეულობას და სხვა ტერიტორიების მიტაცებასაც შეეცდება.

მშობლებო, აკონტროლეთ არასრულწლოვნების ინტერნეტაქტივობები

ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 555 18 48 88

ინტერნეტსივრცეში ადამიანების უმრავლესობა 8-12 საათს ატარებს. ინტერნეტი ძალიან მარტივი საშუალებაა კომუნიკაციისათვის, მუშაობისთვის, ახალი მეგობრების შესაძენად და სხვა სასიკეთო საქმეებისთვის. ამ საოცარ გამოგონებას აქვს ცუდი მხარეც - სახალისო და საინტერესო სამყაროში უხილავი საფრთხეებიც გვხვდება

ამ ვირტუალურ სივრცეში, ძალიან ძნელია იმის გარკვევა, ვინ ურთიერთობს სინამდვილეში თქვენთან - თქვენი თანატოლი თუ ავი განზრახვის მქონე ადამიანი, ვინ ათვალიერებს და როგორ იყენებს თქვენ მიერ დადებულ ფოტოებს, ვინ წაიკითხავს და როგორ ისარგებლებს თქვენი გაზიარებული ამბებით და ასე შემდეგ. ბავშვების უმეტესობა, სწავლისთვის დროის დათმობის ნაცვლად ონლაინთამაშებითაა გატაცებული. სამწუხაროდ, ზოგიერთ ბავშვს, რომელიც ინტერნეტში უცნობებს ეკონტაქტებოდა, შემდეგ სერიოზული პრობლემები შეექმნა. მაგალითისთვის, ამ რამდენიმე დღის წინ გახმაურებულ საქმეს მოვიყვან. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, არასრულწლოვანი გოგონას პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე 2000 წელს დაბადებული გ. ბ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2023 წლის სექტემბერში სოციალური ქსელით 13 წლის გოგო გაიცნო, რომელსაც facebook-ით საუბრისას, შიშველი სხეულის ამსახველი ფოტო/ვიდეო კადრების გადაღება და გაგზავნა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლასთან დახვედრით და ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა. „შეშინებულმა არასრულწლოვანმა ზემოაღნიშნულ პირს ინტიმური შინაარსის შემცველი სხეულის ფოტო და ვიდეოკადრები გადაუგზავნა. ამის შემდეგ კი ბრალდებულმა არასრულწლოვანს აღნიშნული კადრების დედასთან და ახლობლებთან გავრცელების მუქარით, დამატებით ფოტო და ვიდეომასალის გადაგზავნა აიძულა. ასევე, ბრალდებულმა არასრულწლოვანი მუქარით აიძულა, კბილის ჯაგრისის გამოყენებით სექსუალური ხასიათის სხვადასხვა მოქმედება განეხორციელებინა და ამის ამსახველი კადრები მისთვის გადაეგზავნა. მას შემდეგ, რაც მომხდარი ფაქტის შესახებ 13 წლის არასრულწლოვნის დედამ შეიტყო, დასახმარებლად და დანაშაულზე რეაგირებისთვის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა. მოკლე დროში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ბრალდებული დააკავეს. პირადი ჩხრეკისას, მის მობილურ ტელეფონში ნახეს არასრულწლოვნის ინტიმური შინაარსის ფოტო/ვიდეო მასალა. საქართველოს პროკურატურამ მას ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, სექსუალური ხასიათის ქმედების იძულებისა და გარყვნილი ქმედებისთვის წარუდგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. დანაშაული 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, - ნათქვამია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამავე ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ ნებისმიერ დაზარალებულ პირს შეუძლია დააფიქსიროს შეტყობინება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე: 199 ან მიმართოს სამსახურის ოფისებს მთელი საქართველოს მასშტაბით. ბათუმში აღნიშნული ოფისი გიორგი მაზნიაშვილის ქუჩაზე №54-ში მდებარეობს. ჩვენ რამდენჯერმე ვცადეთ აღნიშნულ ცხელ ხაზზე დარეკვა და სხვა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, მაგრამ არავინ გვიპასუხა და ორი დღის განმავლობაში არც ვინმე შეგვეხმიანა, ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, დიდი უპასუხისმგებლობაა. ფაქტია, რომ დაზარალებულს, რომელიც ძლივს გადაწყვეტს ვინმეს გაუმხილოს პრობლემა და ცხელი ხაზის ნომერს აკრეფს, ყურმილის იქით „დუმილი“ დახვდება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მშობლებს შვილების კიბერბულინგისგან დასაცავად შემდეგ რეკომენდაციებს სთავაზობს: აკონტროლეთ არასრულწლოვნების ინტერნეტაქტივობები, სოციალურ ქსელში დარეგისტრირებამდე ან აპლიკაციის გამოყენებამდე გაეცანით მისი კონფიდენციალობის პირობებს, შეამოწმეთ მათი მონაცემების უსაფრთხოების პირველადი პარამეტრები და დააყენეთ ისინი სასურველ დონეზე, მიეცით რჩევები მათი უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ და განუმარტეთ, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ინტერნეტში მათ შესახებ ინფორმაციის განთავსება, გააფრთხილონ ბავშვები, არ გაუზიარონ პაროლი მესამე პირებს (მათ შორის, არც ახლო მეგობრებს), თუ ასე მოხდა, დაუყოვნებლივ შეცვალონ ის, სხვისი ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებისას არ მონიშნონ მომხმარებლის/პაროლის დამახსოვრების ველი.

გარდა ამისა, სპეციალური პროგრამების გამოყენებით შესაძლებელია, ელექტრონულ მოწყობილობებზე ბავშვებს დაუწესოთ ძირითადი ციფრული წესები, გაუწიოთ მეგზურობა სასარგებლო კონტენტისკენ, თვალი ადევნოთ მის ეკრანთან გატარებულ დროსა და დაუწესოთ (აპლიკაციების გამოყენების, ვებგვერდებზე წვდომის და ინტერნეტსივრცეში აქტივობების) შეზღუდვები.

და მაინც, რა საფრთხეებია ინტერნეტსივრცეში „ჩასაფრებული“, როგორ დავიცვათ ჩვენი შვილები ამ პრობლემისგან? - ამ კითხვით ფსიქოლოგ **მარიამ ლეჟავას** მივმართეთ. მისი თქმით, აუცილებელია, შვილებს შევუქმნათ ისეთი გარემო, რომ უპრობლემოდ შეძლონ ოჯახის წევრებთან ურთიერთობა.

გაატარეთ მეტი დრო თქვენს შვილთან ერთად და გაიგეთ, რომელი აპლიკაციები, თამაშები და სხვა ონლაინგასართობები შეესაბამება მის ინტერესებსა და ასაკს. აუხსენით ბავშვებს, როგორი ქცევა არ უნდა განახორციელოს მათთან სხვა ადამიანმა და თუ ეს მოხდა, ვის უნდა მიმართონ ამ შემთხვევაში. აგრეთვე იმაზე, რომ არასოდეს უცხო ადამიანს (ექიმის ან სპეციალისტის გარდა) არ აქვს მის სხეულზე შეხების უფლება და, მით უმეტეს, იმ ადგილებზე, რომლებიც დაფარული გვაქვს სამოსით. როდესაც ბავშვი ძალადობის მსხვერპლი ხდება, შეუძლებელია მის ქცევაში მშობელმა რაიმე განსხვავებული ცვლილება არ აღმოაჩინოს. ის საკუთარ თავში იკეტება, არ კონტაქტობს ახლობლებთან, მეგობრებთან. ამით ცდილობს სტრესის, საკუთარი ემოციების დაფარვას, ამ ყოველივემ შესაძლებელია სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემამდეც მიიყვანოს. მსგავს შემთხვევებში, შიშის, დასჯის ან მათივე დადანაშაულების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენდა სამწუხაროდ, ისინი მიმართავენ სუიციდს. ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შვილებთან მეტი დროის გატარება. ესაუბრეთ ბევრი მსგავსი რისკების თავიდან ასაცილებლად, მოუყევით და აჩვენეთ სხვისი მაგალითები და რაც მთავარია, იმეგობრეთ მათთან, რათა ნდობა მოიპოვოთ. მესმის, რთულია მშობლების მხრიდან ამ ყველაფრის შესრულება, ვინაიდან თითქმის ყველა დაკავებულია, მაგრამ ეს აუცილებელი პირობაა სხვადასხვა რისკის თავიდან ასაცილებლად. აქვე, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ბავშვები არ უნდა იყვნენ მშობლებისა და უფროსების მეთვალყურეობის გარეშე და მშობლებმა, ხშირ შემთხვევაში, უნდა იცოდნენ, სად, რა მიზნით და რა დროით არიან მათი შვილები, თუკი ისინი არ იმყოფებიან მათი თვალთახედვის არეალში, ვინაიდან საშიშროება და რისკები ნამდვილად არსებობს, - გვითხრა მარიამ ლეჟავამ.

სწორედ ამ მეგობრულმა დამოკიდებულებამ გადაარჩინა ჩვენი შემდეგი რესპონდენტი პრობლემისგან, რომელიც მის 12 წლის ვაჟს სოციალური ქსელით ექმნებოდა. როგორც ის გვიყვება, ქსელურ თამაშებში ხშირად მოზარდებს ასაკით დიდი ბიჭები წერენ და ესაუბრებიან, მათზე გავლენას ახდენენ და ავტორიტეტად ევლინებიან.

„ჩემი შვილი ხშირად თამაშობს სხვადასხვა ქსელურ თამაშს, სადაც ერთმანეთს რამდენიმე პირი ესაუბრება. ერთი კვირის განმავლობაში მესმოდა ასაკით უფროსი ბიჭის ხმა. ვკითხე, ვინაა-მეთქი და - ძმაკაცი (მათ ასეთი ონლაინმეგობარი ბევრი ჰყავთ). თავიდანვე არ მესიამოვნა ეს ურთიერთობა, მაგრამ არაფერი მითქვამს, უბრალოდ, ხშირად ვადევნებდი თვალყურს. ერთ დღესაც მიმოწერაზე გადავიდნენ. იმ საღამოსვე მოვიდა და საიდუმლოდ გამიმხილა, რომ ის პირი ისეთ კითხებს უსვამდა, რაც მისთვის მიუღებელი იყო: სად ცხოვრობს, ვისთან ერთად, შეუძლია თუ არა მარტო ქალაქში გასვლა, ტელეფონის ნომერი და სხვა. ბავშვთან ემოცია დავმალე, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემმა საუბრებმა, თუ როგორ უნდა მოიქცეს უცნობებთან, გაჭრა. მე, რა თქმა უნდა, შესაბამის ზომებს მივმართე და ის პიროვნება ჩემი შვილის სიახლოვეს არ გამოჩენილა, მაგრამ ყველა დედას ვთხოვ, მეტი დრო დაუთმონ მოზარდებთან ურთიერთობას. საშიშროება ყველგანაა და ამისგან არავინ ვართ დაცულები“, - გვითხრა მაია მჟავანაძემ.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

წიგნის პერსონაჟები – ხეობის მკვიდრნი

ᲚᲐᲨᲐ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ 593 50 82 69

*ახლახან მკითხველმა იხილა მწერალ **ნათელა კახიძის** ახალი წიგნი „შეწყვეტილი სიცილი“, რომელიც საინტერესო, კოლორიტული პერსონაჟებით გიზიდავს და მათთან ერთად გამოგზაურებს მაჭახლის ხეობის უმშვენიერეს ბუნებაში, რომლის მკვიდრი თავად ქალბატონი ნათელა გახლავთ. პედაგოგიურ ასპარეზზეც გამორჩეულია. ჩხუტუნეთელ ბავშვებს, და არა მარტო მათ, მთელ ხეობას უყვარს ეს გულმართალი ადამიანი, საუკეთესო მასწავლებელი და მწერალი, რომელსაც მაჭახლის ლამპარს უწოდებენ.*



- ქალბატონო ნათელა, გილოცავთ ახალი წიგნის გამოცემას. როგორ დააკვალიანებთ მკითხველს?

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. რაც შეეხება მკითხველს, უბრალოდ, ვეტყვი - წიგნთან ერთად იმოგზაუროს მაჭახლის ხეობაში.

- წიგნის პერსონაჟები თქვენი მშობლიური ხეობის მკვიდრები არიან, იმდენად ბუნებრივები, რომ ჩნდება განცდა, მათ ვხედავთ და ვუსმენთ, მათთან ერთად ვართ ჭირსა და ლხინში... ვინ არიან მათი პროტოტიპები?

- ესენი ჩემი მეზობლები არიან, ნათესავები, ახლობლები... უმეტესად, ცნობენ საკუთარ თავს. ზოგს სწყინს, ზოგს - უხარია.

- ფოლკლორს უხვად იყენებთ, მრავალი კაფია და სახუმარო ლექსი შეგიტანიათ წიგნში, როცა ლხინს აღწერთ...

- ფოლკლორი, კაფია, ლექსები - ეს ყველაფერი ჩემი ხალხის სულის წიაღიდან ამოღებული მარგალიტებია, რომლებიც ერთ დიდ მძივად ავასხი, შევკარი და ისევ მათ დავუბრუნე, რომ არ დაიკარგოს.

- გამორჩეული სტილი გაქვთ. რაც, ცხადია, ადვილი მისაღწევი არ იყო. ვის თვლით თქვენს ლიტერატურულ მასწავლებლად და, საერთოდ, ვინ არიან თქვენი საყვარელი პროზაიკოსები?

- ეს ჩემი სტილია. რაც ჩემეულია, ის ადვილად მისაღწევიცაა, მირჩევნია მოკლედ და კონკრეტულად. ასე ვარ ცხოვრებაშიც, ამიტომაც ვემსგავსები ნიკო ლორთქიფანიძეს, რაც შეეხება ჩემს ლიტერატურულ მასწავლებლებს, ესენი კლასიკოსი მწერლები არიან.

- ბავშვებს, რომლებსაც ასწავლით, ძალიან უყვართ ლიტერატურა, წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მხატვრულ ღონისძიებაში. საინტერესოა, როგორ მუშაობთ მათთან?

- ისინი ჩემი პატარა მეგობრები არიან და ადვილად ვიხედები მათ სულიერ სამყაროში, ადვილად ვხედავ, რა უჭირთ, რა ულხინთ... ძირითადად, შემოქმედებითი პოტენციალის აქტივიზაციაზე ვაკეთებ აქცენტს.

- ციფრულ ეპოქაში ვართ, ხელოვნური ინტელექტი ასპარეზზეა. როგორები ვიქნებით მომავალში?

- დღეს ხელოვნურმა ინტელექტმა ყველა სფეროში შეიხედა, ის ჩვენს ყოველდღიურ გადაადგილებაზეც იქონიებს გავლენას. განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სარგებელზე საუბარი უსაზღვროდ შეიძლება. მას შეუძლია სრულიად შეცვალოს განათლების სისტემა, შექმნას სრულყოფილი მასალები და დაამკვიდროს სწავლების მაღალი სტანდარტი.

- ცხოვრებისეული გამოცდილებით მოპოვებული სიბრძნე, რომელიც გსურთ მკითხველს გაუზიაროთ...

- ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ხელი შემიწყო სამყაროს გარკვეული ხედვის ჩამოყალიბებაში, პატარას თვალებში - დიდის დანახვაში...

- ახლა რომ ცხოვრების ასპარეზზე გამოდიოდეთ, რა გზას აირჩევდით, რას გააკეთებდით და, საერთოდ, რას ურჩევთ ახალგაზრდებს?

- იგივე გზას ავირჩევდი, იგივეს გავაკეთებდი, ახალგაზრდებს კი ვურჩევ, ციფრულ სამყაროში ყველა რესურსი გამოიყენონ სწავლა-განათლების მისაღებად და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად.

- არაჩვეულებრივ ბუნებაში ცხოვრობთ და მოღვაწეობთ, კითხულობთ ბუნების წიგნს. მისი კითხვა რომ შეიყვაროს ნებისმიერმა ადამიანმა, რა უნდა გაითავისოს?

- ჯერ უნდა იმოგზაუროს მაჭახლის ხეობაში, რათა ისწავლოს ბუნების დიდი წიგნის კითხვა, აღიქვას, შეიგრძნოს, გაითავისოს, რადგან აქ ბუნებრივია ყველაფერი და არა - ხელოვნური.

- სასოწარკვეთილ ადამიანს რით შეეშველებით?

- თანავუგრძნობ, მოვუსმენ, მხარში დავუდგები - ეს ჩემი ჭობია.

- ჩვენს მკითხველს რომ პირისპირ შეხვდეთ, რა შეკითხვას დაუსვამდით?

- ჩვენ გავხდით ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა! გილოცავთ! რა არის ევროპელობა? რა არის ის, რისკენაც ასე მიზანდასახულად და მართებულად მივისწრაფვით?

პაატა ქათამაძე: მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, წინ თებერვალ-მარტია

*გახშირებული მეწყრული პროცესები, ბუნების ჭირვეულობა, რიგი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელების, ცალკეული სამსახურების უფროსებისა და სპეციალისტებისგან მაქსიმალურ ძალისხმევას ითხოვს, რომ მთიანი რეგიონის სოფლებში მცხოვრებმა ოჯახებმა ყველა იმ სიკეთით ისარგებლონ, მიმდინარე წლის პრიორიტეტებითა და პროგრამებით რომ არის განსაზღვრული. დეტალურად ზემოაღნიშნულზე შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი **პაატა ქათამაძე** გვესაუბრა.*

- ბატონო პაატა, ზამთრის წვიმები თავის უარყოფით კვალს ტოვებს მთიანეთში...

- ზამთარმა უნდა იზამთროს, აჭარის მთიანეთის სოფლებში წელიწადის ამ დროს უხვი თოვლი სანატრელი არ უნდა იყოს. მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, წინ თებერვალი და მარტია, თუმცა განვლილი პერიოდის შესახებ თუ ვისაუბრებთ, წვიმის სახით მოსულმა უხვმა ნალექმა უარყოფითი კვალი უკვე დატოვა. მეწყრულმა პროცესებმა ისეთ ტერიტორიებზე, უბნებში იმძლავრა, სადაც ადამიანები საუკუნეებია ცხოვრობენ და საფრთხე არასდროს დამუქრებიათ. მეწყრული კერები ახლად გაჩნდა ნიგაზეულში, ტაკიძეებში, ოქროპილაურში, ცინარეთში, ჯაბნიძეებში, დღვანში. უკვე საქმეში ჩავრთეთ გეოლოგიური სამსახურის სპეციალისტები და მათი რეკომენდაციების საფუძველზე ვიმოქმედებთ.

- ეს პროცესები დღეს არ დაწყებულა...

- დეკემბერ-იანვარში ტერიტორიების დაღარვა-დამეწყვრა იშვიათად ხდებოდა. პროცესები, მეტწილად, გაზაფხულზე ინტენსიური თოვლდნობისა და გახშირებული, კოკისური (ღატაკი) ოჯახების დახმარების პროგრამა, რომლებიც ორიენტირებულია ოჯახების გაძლიერებაზე. უკვე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებს, სპეციალისტებს (სოფლის ხელმძღვანელებს) ამ პროგრამების არსი და დანიშნულება გავაცანით. ჩვენი მიზანია, მობილიზებული თანხებით თითოეული ბენეფიციარი სარგებლობდეს საჭიროების შემთხვევაში. შარშან თუ სოციალური პროგრამებითა და მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით 2452-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, წელს 2700-მდე ჩვენს თანამოქალაქეს შეიძლება მოვემსახუროთ საჭიროებების შესაბამისად.

„ ქვეყნის, რეგიონისა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელთა თანადგომით, ყოველწლიურად იზრდება პროგრამებით მობილიზებული თანხების ოდენობა. თუ გასულ წელს მათი ბიუჯეტი 1,12 მილიონი ლარი იყო და 15 მიზნობრივი პროგრამა მოქმედებდა, წელს 17 პროგრამა იმუშავებს და საერთო ბიუჯეტი 1,3 მილიონ ლარამდე იქნება

პირული წვიმების შემდეგ აქტიურდებოდა, მაგრამ წელს ზამთარშიც თავს გვახსენებს. ჩვენი ვალია, მუნიციპალიტეტის მერ ბატონ ომარ ტაკიძესა და ხელმძღვანელ პირებთან ერთად, მოსახლეობას უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები შევუქმნათ, ადამიანების მსხვერპლი თავიდან ავიცილოთ. გვქონდა კონკრეტული მაგალითები, როცა სახიფათო ზონიდან ოჯახები ქირით, უსაფრთხო ადგილზე გაგვყავდა. მერიის ინფრასტრუქტურულ პროექტებში მნიშვნელოვანი თანხები წელსაც მობილიზებულია ფერდსამაგრი, საყრდენი კედლების მოსაწყობად. თუ გაკეთებულს გადავხედავთ, ამ სამუშაოებმა მეწყრული პროცესები გარკვეულწილად შეაკავა. სამართლიანობა მოითხოვს, დადებითად შეაფასოს მოსახლეობამ ის დიდი თანადგომა, რასაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, პირადად მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიური სამსახურის უფროსი მამუკა ფუტკარაძე, ცალკეული სპეციალისტები იჩენენ. ისინი მცირედ შემთხვევასაც კი მყისიერი რეაგირების გარეშე არ ტოვებენ. საგულისხმოა, რომ ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ ტერიტორიაზე, სადაც შეუძლებელია ცხოვრების გაგრძელება, რადგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სარისკოა, ერთვებიან „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაში“ დადგენილი წესის შესაბამისად და იღებენ პროგრამით გათვალისწინებულ საკომპენსაციო თანხას.

- ადგილზე დარჩენილი ოჯახები თანადგომას ითხოვენ?

- ქვეყნის, რეგიონისა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელთა თანადგომით, ყოველწლიურად იზრდება პროგრამებით მობილიზებული თანხების ოდენობა. თუ გასულ წელს მათი ბიუჯეტი 1,12 მილიონი ლარი იყო და 15 მიზნობრივი პროგრამა მოქმედებდა, წელს 17 პროგრამა იმუშავებს და საერთო ბიუჯეტი 1,3 მილიონ ლარამდე იქნება. წელს დაგვემატა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამა და სოციალურად დაუცველი ოჯახების ეკონომიკურ აქტივობის ამაღლებაზე ორიენტირებული ახალი პროგრამა. ეს ბენეფიციარები ერთ-ერთ ეტაპზე ქვეყნის ხელისუფლების, მმართველი პარტიის ხელმძღვანელი პირების მიზანია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ალბათ მალე ის დროც დადგება, როცა მუნიციპალიტეტში უკიდურესად შეჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდება. მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძის პრიორიტეტი ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მომსახურების ხარისხის ამაღლებაა, რაშიც სრული მხარდაჭერა გვაქვს შუახევის მუნიციპალიტეტის მმართველი გუნდის დეპუტაციის მხრიდან.

- წინა წლებში ბენეფიციარები კმაყოფილებით საუბრობდნენ სპეციფიკური სამკურნალო წამლების შეძენისთვის ფინანსური დახმარებისა და გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა სარიტუალო მომსახურებისათვის გასაცემი ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის სიკეთეზე. წელს ბიუჯეტი იგივე რჩება თუ მომატებულია?

- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით გაიზარდა ამ პროგრამების ბიუჯეტი და შესაბამისი ბენეფიტების რაოდენობა, რაც ნიშნავს მეტი საჭიროების მქონე პირის (ოჯახის) ჩართვას ამ პროგრამებში. სპეციფიკური სამკურნალო წამლების შეძენის პროგრამაში შშმ პირებიც ჩაერთვებიან. ექიმების რეკომენდაციის საფუძველზე იმ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა აღემატება 100 ათასს და ტოლია ან ნაკლები 200 ათასზე, 150 ლარით დავაფინანსებთ. გარდაცვლილი პირის ოჯახზე, პროგრამის ფარგლებში, ერთჯერადად გავცემთ ფინანსურ დახმარებას 450 ლარის ოდენობით.

- შარშან, 7 და 8 ივლისს მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა, რასაც მოჰყვა სეტყვა და რამდენიმე სოფელში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები დაზიანდა. ზარალის შემსწავლელ კომისიას თქვენ ხელმძღვანელობდით. დაზარალებული ოჯახები კომპენსაციის მოლოდინში არიან. მათი მოლოდინი რამდენად საფუძვლიანია?

- მერიაში შემოსული შეტყობინებების მა, ხოლო 2023 წელს - 1350-მა ბენეფიციარმა, როცა პროგრამის ბიუჯეტი იყო სამივე წელს ერთი და იგივე. ეს ცალსახად მიანიშნებს იმ აქტიურ ღონისძიებებზე, რაც ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძის, ხელმძღვანელი პირების, სტრუქტურული ერთეულების, სპეციალისტების, საკრებულოს ხელმძღვანელების, დეპუტატების მიერ და გამოიხატება საკითხისადმი ერთიანი მიდგომის სტანდარტის დამკვიდრებაში, კონსტრუქციულ ნაბიჯებსა და მოქალაქეებთან აქტიურ და უშუალო კომუნიკაციაში.

- ზოგიერთები მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამენ...

- გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ უსაფუძვლოდ, საჭიროებისა და სათანადო დოკუმენტის გარეშე მოკლებული ვართ შესაძლებლობებს, ბენეფიციარებს გავუმართოთ ხელი. ეს მუნიციპალური სამსახურია და არა ურთიერთდახმარების საქველმოქმედო ორგანიზაცია ან სადაზღვევო კომპანია.

- თქვენდამი დაქვემდებარებულ სამსახურში რიგი საკადრო ცვლილებები განახორციელეთ. რამდენად გაამართლა?

- საქმის მცოდნე, დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე ორიენტირებული სპეციალისტები და განყოფილების უფროსები საკონკურსო შერჩევის შემდეგ დაინიშნენ პოზიციებზე. მათ საკმაოდ დიდი გამოცდილებაც აქვთ.

- რეორგანიზაციას კიდევ ხომ არ ელოდებით?

- ბოლო დროს განხორციელებული საკადრო ცვლილებები სამსახურის რეორგანიზაციით იყო განპირობებული. ახალი გამოწვევებისა და სტანდარტების შესაბამისად გამსხვილდა, გაძლიერდა სამსახური. ჩამოყალიბდა სამი დარგობრივი განყოფილება, რასაც სჭირდებოდა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელი პირების რეკომენდაციით, სფეროს სირთულიდან გამომდინარე, არსებული გამოცდილი ადამიანური რესურსის მაქსიმალური ჩართვა იყო საჭირო და დაწინაურდა რამდენიმე სპეციალისტი, აგრეთვე მივიღეთ ახალი, ნიჭიერი, პერსპექტიული კადრები. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი სტრუქტურის პირველი პირების პოზიციაა ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრების მოზიდვა. ამ ეტაპზე, ჩვენს სტრუქტურულ ერთეულში არის კადრების ოპტიმალური რესურსი, შესაბამისად, არ იგეგმება რაიმე სახის საკადრო ცვლილება. საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირები მიიღებენ გამოწვევების ადეკვატურ გადაწყვეტილებებს.

- ხშირი იყო საყვედურები ტრანსპორტის მოხმარების მიმართულებით...

- მსგავსი პრობლემის წინაშე აღარ ვართ. ჩვენ თითქმის 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. მაგალითად, მუნიციპალიტეტის რიგ ტერიტორიებზე და დასახლებულ პუნქტებში მეწყრული პროცესები არაერთხელ განვითარდა. მერის ხელმძღვანელობით, მთელი სამსახური, განყოფილების უფროსების, სპეციალისტების, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების ჩართულობით, შემთხვევის ადგილზე გავედით. ამ პროცესში მუდმივი კოორდინაცია გვქონდა შემთხვევის მართვაში ჩართულ ყველა სუბიექტთან და პერიოდულად ერთმანეთს ვაწვდიდით და ვცვლიდით მოპოვებულ ინფორმაციას. მსგავსი შემთხვევების დროს მთელი ძალები იქითკენაა მიმართული, რომ ავირიდოთ ადამიანების მსხვერპლი.

- თუმცა ადამიანთა მსხვერპლის შემთხვევები, სამწუხაროდ, ისტორიას ახსოვს.

- რთულია ასეთ საკითხზე საუბარი. უკვე წარსულ შედეგზე ვერაფერს ვიტყვით, თუმცა, ცალსახად, ვერც ბუნებას ან გაუფრთხილებლობას დავაბრალებთ. სტიქიის შედეგად დაღუპულებს ხსოვნის დღეებითა და მემორიალებით ვიხსენებთ, თანაც საზოგადოებას ვაფრთხილებთ, რომ ბუნებაში ჩარევისგან თავი შეიკავონ.

- ზედმეტი, გაუთვალისწინებელი ჩარევის, ტყის რესურსების არამართლზომიერი მოხმარების შემთხვევები არის?

- ამას შესაბამისი სამსახურები აწესრიგებენ, თუმცა მოსახლეობაც გარკვეულ სიფხიზლესა და სიფრთხილეს უნდა იჩენდეს. ზვავები, მეწყრები ტყის რესურსების გაჩეხვას, საავტომობილო გზების გაყვანას, აფეთქებით სამუშაოებს მიეწერება. მთები მოშიშვლდა, რაც ღვარცოფების ხელშემწყობი ხდება. ის რეგულაციები, რომლებიც ამჟამად გვაქვს, ადრე, განსაკუთრებით წინა საუკუნის 90-იან წლებში, რომ ყოფილიყო, ახლა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

კლდეზვავი – ზამლეთი-ხიხაძირის გზაზე



ზამლეთი-ხიხაძირის საავტომობილო გზის მესამე კილომეტრზე, სოფელ ფურტიოს ტერიტორიაზე კლდე ჩამოიქცა. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკა და მუშახელი აღდგენით სამუშაოებს მალევე შეუდგა.

გათვლებით, 60 ტონაზე მეტი მასა იყო ჩამოწოლილი, საჭირო გახდა ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები. გზაზე საავტომობილო მიმოსვლა ერთი დღის მუშაობის შემდეგ, ნაწილობრივ აღდგა. გაწმენდითი სამუშაოები მეორე დღესაც გაგრძელდა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

...და ჩვენ ვთამაშობთ „ბედნიერობანას“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

რამდენიმე დღის წინ მეგობარი მიყვებოდა ერთ-ერთ გოგოზე, რომელიც სოციალურ ქსელში ჰყვებოდა, როგორ უყვარს მეუღლე, წლებია, რა ბედნიერები არიან ერთად, მესამე დღეს კი თვალებდასიებულმა, ნამტირალევმა ვიდეო ატვირთა და საზოგადოებისგან შველა ითხოვა, რადგან რეალურად სულ სხვა მოცემულობაში ცხოვრობს - შეუღლების დღიდან ქმარი მასზე როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად და ეკონომიკურად ძალადობს და მოუწოდა ადამიანებს, აღიარონ სიმართლე, ნუ იცხოვრებენ და აცხოვრებენ სხვებსაც ტყუილში

„სულ არ გამკვირვებია, სოციალურ ქსელში ყველა ბედნიერია. ვაღიარებ და ვიტყვი, მეც ხშირად ამიტვირთავს სხვადასხვა სოციალურ პლატფორმაზე ვიდეო ან ფოტო და მიმიწერია, რომ უბედნიერესი ვარ, ცხოვრება მშვენიერია, თუმცა ყველაზე დიდ დეპრესიაში სწორედ მაშინ ვყოფილვარ... მართლა არ ვიცი, ეს რა ფენომენია, მაგრამ ფაქტია, რომ სხვის დასანახად ბედნიერების თამაში გვიყვარს ადამიანებს“, - ჩაილაპარაკა მეორე მეგობარმა ზემოთ აღნიშნული ამბის საპირწონედ. მართლაც, შესაძლოა, ამ ყველაფერს რაიმე კონკრეტული ახსნა არ ჰქონდეს, თუმცა თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, ადამიანები ყოველთვის ისწრაფვიან თავიანთ წარმოსახვაში არსებული სრულყოფილებისკენ, ქმნიან სურათს, რომელშიც ყველაფერი ფერადი და სასიამოვნოა, შემდეგ კი, რაღაც პერიოდის განმავლობაში, თავადაც იჯერებენ ამ „ილუზიურ ბოდვებს“. ამასთან, არიან ისეთებიც, გააზრებულად რომ აკეთებენ ამ ყველაფერს. ზოგს ეგრეთ წოდებული „ფოლოვერების“ მომატება სურს, ზოგი კიდევ ვიღაცის ჯიბრზე იქცევა გამომწვევად. ფსიქოლოგები იმასაც ამბობენ, რომ პრობლემა, რომელზეც ვსაუბრობთ, ხშირად ბავშვობიდან, აღზრდიდან მოდის, ანუ... მშობლები ხშირად უმეორებენ შვილებს, რომ „ტირილი სისუსტის ნიშანია“, „რას ჰქვია, გამოცდა ვერ ჩააბარე, სირცხვილით თავი სად გამოვყო“, „გაიცინე, ხალხი იტყვის, რომ უყმური ხარ“, შესაბამისად, ადამიანს შესაძლოა, აქვს სრულებით ინსტიქტური ჩვევა, „ყველაფერი, რაც ფარდის მიღმა ხდება“ ფარდის მიღმა დატოვოს, რადგან არ არის მზად რეალობის საჯაროდ გამოსატანად, ეშინია, რომ ვერ გაუგებენ, დააბულინგებენ, გარიყავენ. შესაძლოა ასეც მოხდეს, რადგან ქართული საზოგადოება ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის მიმღებლური სხვადასხვა ინტიმური საკითხისადმი. თითოეული ჩვენგანი ხშირად აწყდება სოციალურ ქსელში ჩაგვრის არაერთ მაგალითს. სამწუხაროდ, ადამიანებს შეუძლიათ ძალადობასაც მოუძებნონ გამართლება, გააროგანტიულონ მკვლელობაც კი. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, უმჯობესია, მოიკრიბო ძალა, თქვა სიმართლე, რომელსაც აუცილებლად გამოუჩნდებიან მხარდამჭერები და შენ გაიმარჯვებ, ასევე, მაგალითი გახდები სხვა ბევრი ადამიანისათვისაც, რომლებიც მძიმე პირობებში, თუმცა, სხვის დასანახად „ბედნიერები“ არიან.

> ***„არიან წყვილები ჩემ ირგვლივ, რომლებსაც მართლა ძალიან უყვართ ერთმანეთი, ბედნიერები არიან, მაგრამ ასევე მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც ფეისბუქისთვის, ინსტაგრამისა და ტიკტოკისათვის არიან „ყველაზე მეტად მიყვაააარს“ წყვილები***

ერთ-ერთ დახურულ ჩატში გადავწყვიტე, მეკითხა, სოციალურ ქსელში რამდენად ხშირად არიან აქტიურები არა თავიანთი ემოციებიდან გამომდინარე, არამედ იქიდან, თუ რა მოსწონს ხალხს. აზრი ორად გაიყო. ნაწილი თვლის, რომ დღეს სოციალური ქსელი არის ერთგვარი სარკე, რომლითაც შესაძლებელია გაიგო ადამიანის ფსიქოემოციური მდგომარეობა, ნაწილს კი მიაჩნია, რომ „რაც ბრწყინავს“, ყველაფერი ოქრო ნამდვილად არ არის.

„ვფიქრობ, არ ვართ ბოლომდე თავისუფლები, რადგან ხშირად ღიად ვერ ვყვებით იმ პრობლემებზე, რაც გვაწუხებს. თვალიც დამიხუჭავს მეზობელი მამაკაცის ქმედებაზე, როცა ის ფსიქოლოგიურად ძალადობდა მეუღლეზე და შემდეგ მინანია. ალბათ გვაქვს რაღაც შიშები, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ ვებრძვით, ბოლომდე ვერ დავძლიეთ. ვერ ვიტყვი სოციალურ ქსელში ყველა თამაშობს „ბედნიერობანას“-მეთქი. არიან წყვილები ჩემ ირგვლივ, რომლებსაც მართლა ძალიან უყვართ ერთმანეთი, ბედნიერები არიან, მაგრამ ასევე მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც ფეისბუქისთვის, ინსტაგრამისა და ტიკტოკისათვის არიან „ყველაზე მეტად მიყვაააარს“ წყვილები. დღეს სხვანაირი პერიოდია, ცოტათი ქაოსია, ადამიანებიც დაემსგავსნენ გარემოებას, თუმცა, ვფიქრობ, ადრე თუ გვიან ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა“, - მომწერა აღნიშნული ჩატის წევრმა გოგონამ და გულწრფელი სიყვარული უსურვა ადამიანებს.

რა თქმა უნდა, ვისურვებ, სხვის დასანახად არა, ჩვენთვის ვიყოთ ბედნიერები. გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, რადგან მოჩვენებითი ყველაფერი დროებითია.

ერკვევიან თუ არა ქალები ფეხბურთში?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი განსაკუთრებით უყვართ. თუ კარგად დააკვირდებით, სტადიონზე, თამაშის მსვლელობისას მამაკაცებთან ერთად უამრავ ქალ გულშემატკივარსაც შეამჩნევთ. ისინი დაუფარავად გადმოსცემენ ემოციებს. ბევრი ცრემლმორეული ტოვებს სტადიონს საყვარელი გუნდის დამარცხების შემდეგ და მომავალ მატჩს ელოდება, რომ ორმაგი ძალით დაუდგეს მოთამაშეებს გვერდით...

მამაკაცების უმრავლესობას 21-ე საუკუნეშიც კი მიაჩნია, რომ ქალი და ფეხბურთი ერთმანეთისგან ძალიან შორს დგას და ქალბატონები მხოლოდ მოდის გამო დადიან სტადიონზე. ძვირფასო მამაკაცებო, დამერწმუნეთ, ასე ნამდვილად არ არის - ქალებსაც შეუძლიათ ფეხბურთის გამო ღამეების თენება.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არის მამაკაცების მცირე ნაწილი, რომელსაც, პირიქით, მოსწონს, ქალი ფეხბურთში რომ ერკვევა და გულშემატკივრობს, ჩემი მხრიდან კი იმას დავამატებ, რომ ორივე სქესის წარმომადგენელს იდეალურად შეუძლია ფეხბურთის გულშემატკივრობა. დღეს ქვეყანაში ქალთა ფეხბურთიც პოპულარულია და სტერეოტიპი, რომ ქალებს ფეხბურთი არ უყვართ ან ვერ თამაშობენ, ფაქტობრივად, დამსხვრეულია.

ჩვენი დღევანდელი სტუმარია ბათუმის „დინამოს“ ფანკლუბის წევრი და აქტიური გულშემატკივარი 20-წლიანი „გამოცდილებით“ ***სოფო კოგახიძე.***

- როდის შეგიყვარდათ ფეხბურთი?

- მის მიმართ ინტერესი ძალიან პატარა ასაკში გამიჩნდა, დაახლოებით 11-12 წლის ვიყავი, მადრიდის „რეალის“ კაპიტანი რაულ გონსალეს ბლანკო რომ შემიყვარდა და მაშინ „მოვიწამლე“ ფეხბურთით. საყვარელი კლუბიც მაშინ ავირჩიე და უკვე 20 წელია, „ერთად მოვდივართ“. ფეხბურთის მხოლოდ ყურება კი არა, თამაშიც მიყვარდა. სკოლის ეზოში, სპორტულ დარბაზში თუ, უბრალოდ, ეზოში, ბიჭებთან ერთად ვთამაშობდი. სამწუხაროდ, მაშინ საქართველოში ქალთა ფეხბურთი საერთოდ არ არსებობდა, ამიტომ ჩემი ოცნება, ფეხბურთელი გამოვსულიყავი, ოცნებად დარჩა, დღეს უკვე ძალიან გვიანია, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ არასდროს შეიწყვეტია ქალ ფეხბურთელთა გულშემატკივრობა.

- რატომ - ბათუმის „დინამო“?

- დავიბადე და გავიზარდე ბათუმში. „დინამო“ იმ ქალაქის გუნდია, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს, სადაც თავს განსაკუთრებით კარგად ვგრძნობ. ამას ემატებიან ის ადამიანები, რომლებსაც უყვართ ფეხბურთი, ყველა სიტუაციაში დგანან გუნდის გვერდით და ამხნევებენ ფეხბურთელებს. შეუძლებელია, უყურებდე ბათუმის „დინამოს“ ფანკლუბ „შავი ზღვის პირატებს“ და არ მოგინდეს მოედანზე მისვლა, მათ გვერდით დგომა და გულშემატკივრობა.

- ბათუმის „დინამოს“ აქტიურ გულშემატკივარს ხშირად გიწევთ სტადიონზე ყოფნა და ფეხბურთელების გამხნევება. გიგრძვნიათ თუ არა ირონიული დამოკიდებულება მამაკაცების მხრიდან?

- სტადიონიდან გულშემატკივრობა ასმაგად დიდ ემოციას იწვევს ჩემში, ამ დროს მხოლოდ თამაშზე ვარ კონცენტრირებული და ვერ ვხედავ, ირგვლივ რა ხდება. რა თქმა უნდა, პირისპირ ამას არავინ გაგრძნობინებს, მაგრამ არასდროს გამჩენია შეგრძნება, რომ ვინმე ირონიულად უყურებს ჩემს გულშემატკივრობას. ეს - სტადიონზე. რაც შეეხება სოციალურ ქსელებს, იქ უამრავ ირონიულ მესიჯს ვაწყდებით. ადრე ამას ყურადღებას ვაქცევდი და კამათში ვერთვებოდი. როცა ხვდებოდნენ, რომ მართლა მესმოდა ფეხბურთი და უბრალო გულშემატკივარი არ ვიყავი, სხვა სახის კომენტარებზე გადადიოდნენ.

- დღეს როგორი ტენდენციაა?

- სიტუაცია, შეიძლება ითქვას, შეიცვალა. თითქოს პირიქით, მოსწონთ კიდეც გოგონების ასეთი ჩართულობა, რადგან ხედავენ, რომ თავს არ ვზოგავთ და როგორც შეგვიძლია, საყვარელ გუნდს გვერდით ვუდგავართ. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა და მეტ მოტივაციას გვაძლევს, მიუხედავად იმისა, რომ საყვარელი კლუბის სიყვარული მოტივაციის გარეშეც უსაზღვროა.

- ასეთი მოსაზრებაცაა, რომ გოგონები ფეხბურთს სიმპათიური ფეხბურთელების გამო უყურებენ...

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე რაულის გამო დავიწყე ფეხბურთის ყურება. მართლაც ძალიან სიმპათიური იყო. შეიძლება, ეს იყო კიდეც მიზეზი, თუმცა უკვე 20 წელია, ეს სპორტი ჩემი ცხოვრების ნაწილია და ერთი წამითაც არ ვნანობ ამას. ყველა განცდილი ემოცია, ტკივილი თუ ბედნიერება მახსოვს და მიყვარს. არ ვიქნები წინააღმდეგი, თუ გოგონები ამ მიზეზით დაიწყებენ ფეხბურთის ყურებას და მერე ჩემსავით, მთელი გულითა და სულით შეუყვარდებათ. ყველა სხვადასხვა მიზეზით იწყებს, მთავარია, როგორ განვითარდება შემდგომ. მჯერა, თუკი ერთხელ მაინც უყურებს ადამიანი ფეხბურთს იმ ემოციით, იმ გრძნობით რასაც ჩვენ, გულშემატკივრები განვიცდით, შემდეგ ძალიან გაუჭირდება ამ სიამოვნებაზე უარის თქმა.

- როგორ ფიქრობთ, რა დონეზეა საქართველოში ფანობის კულტურა? რა მოგწონთ ან რას შეცვლიდით?

- რა თქმა უნდა, ჯერ იმ დონეზე ვერ არის, როგორიც გვინდა, რომ იყოს, მაგრამ წინა წლებს თუ გადავხედავთ, უკეთესობა შესამჩნევია. „პირატებზე“ მე რომ არ ვილაპარაკო, ყველა ხედავს, რა სიმაღლეზე ასწიეს გულშემატკივრობის კულტურის თამასა. გულშემატკივრების რაოდენობას არ უჩივის გორის „დილა“, ქუთაისის „ტორპედო“ და, მიუხედავად კონკურენციისა, ძალიან მახარებს ამ ქალაქებში სავსე სტადიონების ხილვა. ვნახეთ, რა ხდებოდა ფოთის „კოლხეთის“ თამაშზე, როცა ეროვნულ ლიგაში გადმოსვლა იზეიმეს. არაფერი ალამაზებს ფეხბურთს ისე, როგორც სავსე სტადიონი. გულშემატკივარი ხომ მე-12 მოთამაშეა და ხშირად დიდი წვლილიც შეუტანია გუნდის გამარჯვებაში. იმედი მაქვს, ნელ-ნელა უფრო მეტად დაუბრუნდება ხალხი სტადიონებს და ფეხბურთელებიც სხვანაირი მოტივაციით ითამაშებენ.

- უცხოური კლუბებიდან მადრიდის „რეალს“ გულშემატკივრობთ, საქართველოში - ბათუმის „დინამოს“. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ეს ორი კლუბი ერთმანეთს ხვდება. როგორი იქნება თქვენი პოზიცია და თან, ემოცია?

- ყველგან, ყოველთვის და ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ - მხოლოდ „დინამო“, მხოლოდ - ბათუმი. რაც უნდა მოხდეს, ამ მხრივ არასდროს შეიცვლება ჩემი სიყვარული. სხვა ნებისმიერი ქართული კლუბიც რომ ხვდებოდეს „რეალს“, აუცილებლად ქართველ გულშემატკივრებთან ერთად ვიდგები. ჩემი ქვეყანა და ჩემი ქალაქი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას.

- უშუალოდ ბათუმის „დინამოზე“ რომ გავაგრძელოთ საუბარი - რა პრობლემას ხედავთ კლუბში და, თქვენი გადმოსახედიდან, როგორ შეიძლება მისი მოგვარება?

- ამ საკითხში კომპეტენტური არ ვარ. რა პრობლემებსაც ვხედავთ, ის შეიძლება, მცირედი იყოს იმასთან შედარებით, რაც გუნდში ხდება. მთავარია, ამ პრობლემების გამოსწორებაზე ყველამ, ვისაც ეს ეხება, გულით იმუშაოს. ყველგან და ყოველთვის მნიშვნელოვანია გუნდურობა, აზრების გაცვლა და სწორ დასკვნამდე მისვლა. 1-ელ მარტს სეზონი სტარტს იღებს და ვნახოთ, რა მოხდება.

- რას ეტყოდით ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებს?

- პირველ რიგში, მადლობას - ჩემპიონობისთვის, მით უმეტეს, წინა წელი განსაკუთრებული იყო ბათუმის „დინამოსთვის“, რადგან 100 წლის იუბილე აღვნიშნეთ. ვეტყოდი, რომ ჩვენ ყოველთვის მათ გვერდით ვართ, მნიშვნელობა არ აქვს, როგორი სეზონი იქნება. მოიგებენ თუ წააგებენ თამაშებს, ჩვენს ხმას მუდამ გაიგონებენ, რადგან ჩვენ ერთი გუნდი და ერთი ოჯახი ვართ.

- დაბოლოს, ოცნება, რომელიც ფეხბურთს უკავშირდება..

- ამ ეტაპისთვის ყველაზე რეალური და ყველაზე მთავარი მარტის თამაშების მოგება და საქართველოს ნაკრების ევროპაზე გასვლაა. ამ თამაშებში მხოლოდ წარმატებას ველოდებით და სხვა სცენარზე ფიქრიც არ გვინდა. მეორე ოცნება ბათუმის „დინამოს“ უკავშირდება, რაც ევროტურნირებზე წარმატებულ ასპარეზობას გულისხმობს. რაც შეეხება ჩემს პირად ოცნებას, ეს მადრიდში მოგზაურობაა. აუცილებლად წავალ და დავესწრები საყვარელი გუნდის თამაშს „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

ბათუმის დრამატული თეატრი პრემიერების მოლოდინშია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის რეპერტუარს უახლოეს ხანებში ორი ახალი სპექტაკლი შეემატება

წარმოებაში ჩაეშვა და სამაგიდო მუშაობა მიმდინარეობს სპექტაკლზე „ემიგრანტები“ (სლავომირ მროჟეკის პიესის მიხედვით). რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება გაგა გოშაძეს ეკუთვნის, მხატვარი გოგლა გოგიბერიძე, რეჟისორის თანაშემწე კი ელენე კომახიძე გახლავთ. სპექტაკლში დაკავებულია 2 მსახიობი - ზაალ გოგუაძე და დიმიტრი მელია.

რეჟისორ **გაგა გოშაძეს** *პირადად დავუკავშირდით და ამ შეკითხვაზე პასუხი ვთხოვეთ.*

- ბატონო გაგა, რა არის თქვენი სპექტაკლის მთავარი სათქმელი და რატომ უნდა ნახოს იგი მაყურებელმა?

- სპექტაკლი ორ ადამიანზეა, რომლებიც ემიგრაციაში მყოფი მარტოსულები არიან. მოგეხსენებათ, ემიგრაციის პრობლემა რაც არის. იგი თავისუფლებაზეა, მონატრებაზეა, ადამიანის თავის თავთან მარტო დარჩენაზეა, საერთოდ, მის ფუნქციაზეა, არსებობის აზრსა და არსზეა... სპექტაკლის დედააზრი მაინც ის არის, რომ თავისუფლება არ უნდა დაკარგოს ადამიანმა. როლების შერჩევისას, როცა პიესას ვკითხულობდი, ორ ადამიანში დავინახე ეს გმირები. მოცემულობიდან და არსიდან გამომდინარე შევარჩიე ისინი. ამჟამად სამაგიდო სამუშაოები მიმდინარეობს. ზაალიც და დიმიტრიც ძალიან საინტერესო მსახიობები არიან და პროცესიც ასევე მიმდინარეობს.

კიდევ ერთი სიახლე - 2, 3, 4 - 9, 16 თებერვალს, 19 საათზე მაყურებელი სპექტაკლის „უცხო ცის ქვეშ“ პრემიერას იხილავს, რომელიც „მცირე სცენაზე“ გაიმართება. რეჟისორმა კოტე აბაშიძემ ირაკლი სამსონაძის ორი პიესა - „მეთევზე ერთი, ორი“ და „ყოფილების სარეცელი“ ერთ სპექტაკლად შეკრა და ამ საინტერესო სცენურ ვერსიას საერთო სათაური - „უცხო ცის ქვეშ“ მოუძებნა. მანვე გააფორმა სპექტაკლი მუსიკალურად, მხატვარულად - ლუკა ბესელიამ, რეჟისორის თანაშემწე კი ნატო ღლონტი გახლავთ. მოქმედი პირები და შემსრულებლები: „მეთევზე ერთი, ორი“ - უფროსი წერტილი - კახა კობალაძე, უმცროსი წერტილი - მამუკა მანჯგალაძე. „ყოფილების სარეცელი“ ნანა - მარინა ბურდული, ვანო - ლევან თედორაძე, კაცი - ჯემალ ველიაძე, ქალი - დიანა ჩახუნაშვილი.



სპექტაკლის სათქმელის შესახებ რეჟისორ ***კოტე აბაშიძესაც*** *ვკითხეთ:*

- როგორ სპექტაკლს იხილავს მაყურებელი და თქვენი ვარაუდით, რა განცდებს გამოიწვევს იგი?

- მოგეხსენებათ, სპექტაკლში „უცხო ცის ქვეშ“ გაერთიანებულია ქართული თანამედროვეობის ყველაზე გამორჩეული დრამატურგის ირაკლი სამსონაძის ორი პიესა - ძალიან რთული, ფსიქოლოგიური დრამა „მეთევზე ერთი, ორი“ და „ყოფილების სარეცელი". სიუჟეტურად ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ მათი გაერთიანება იმ პრობლემატიკამ, სათქმელმა და სატკივარმა განაპირობა, რაც თითოეულშია. ის რეალობას ძალიან ნათლად და არაილუსტრირებულად გამოხატავს. არსობრივად ასახავს პრობლემებს ჩვენს საზოგადოებაში. იგი მარადიული ფასეულობების დეფიციტზეა, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ სინამდვილეზეა და აი, ამ ნიშნით გაერთიანდა ყოველივე. აქედან გამომდინარეა სპექტაკლის სათქმელიც, რომ გლობალურად არ მოგვარდა ყველა ეს პრობლემა და ქვეყანამ არ დაიწყო სახელმწიფოდ ქცევა. აქ წარსულის ტკივილია, ჩვენი დღევანდელი სინამდვილეა და ყველაფერი ის, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება, - გვითხრა კოტე აბაშიძემ.

„ეს სპექტაკლი მსოფლიოს მოივლის“ – თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი პრემიერისთვის ემზადება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს შარშან წარმატებული და ნაყოფიერი სეზონი ჰქონდა. გასტროლით იმყოფებოდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც არაერთი წარმატება და ჯილდო ხვდათ წილად. თეატრმა, საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებასთან ერთად, თოჯინების ბათუმის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დააარსა, რომელსაც აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ყოველწლიურ დაჯილდოებაზე - „წლის წარმატებული ხელოვანი“ ნომინაციაში „წლის დებიუტი“ ჯილდო „ოვაცია“ გადასცა.

თეატრისთვის საინტერესოდ დაიწყო ახალი, 87-ე თეატრალური სეზონიც. დასი გასტროლით იმყოფებოდა ხულოში,

ქართული თეატრის დღეს კი სპექტაკლებით „გრინჩი“ და „წერილი ჯერალდინას“ დედაქალაქში, ნოდარ დუმბაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრისა და თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელწიფო თეატრის მაყურებლის წინაშე წარსდგა. საქართველოს თეატრალურმა კავშირმა ყოველწლიურ დაჯილდოებაზე, თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დაფუძნებისთვის, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ირაკლი კიკვაძეს გივი სარჩიმელიძის სახელობის პრემია გადასცა, თეატრის დასის გამგეს ნანა ლაგვილავას, რეკვიზიტორ ნინო ორაგველიძესა და მსახიობ კობა ფაცურიას კი თეატრისთვის გაწეული ღვაწლისთვის „ამაგდარის“ წოდება მიენიჭათ.

ამჯერად თებერვალში თეატრი მაყურებელს ელენე მაცხონაშვილის რეჟისორობით სპექტაკლს - „ძაღლი“ წარუდგენს

ნოდარ დუმბაძის ეს მოთხრობა განსაკუთრებული სიფაქიზით გვიყვება ადამიანისა და მისი ოთხფეხა მეგობრის სიყვარულსა და ერთგულებაზე. რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის თქმით, თეატრის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, გამოეხმაუროს საზოგადოებაში არსებულ ამა თუ იმ მნიშვნელოვან თემას და შეეცადოს, სათქმელი სწორად მიიტანოს ადამიანებამდე. მისივე თქმით, ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში ცხოველების მიმართ დაფიქსირებულ ძალადობაში, მათ შორის, როცა მოზარდმა წამებით მოკლა ძაღლი, დამნაშავე არა კონკრეტული ადამიანი, არამედ საზოგადოებაა, რომელსაც აკლია ჰუმანიზმი. შესაბამისად, მიაჩნია, რომ, ზოგადად, თეატრმა და ამ შემთხვევაში, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ასეთ ძალადობას სიკეთე უნდა დაუპირისპიროს, შეეცადოს, კარგის და ცუდის გარჩევა პატარაობიდანვე ასწავლოს ბავშვს, ერთნაირად ჩაუნერგოს სიყვარული როგორც ადამიანების, გარემოს, ასევე ცხოველების მიმართ.

ელენე მაცხონაშვილი ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრთან პირველად არ თანამშრომლობს. მის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „წერილი ჯერალდინას“ არაერთი წარმატება მოუტანა კოლექტივს - 2018 წელს უკრაინაში, კიევის II საერთაშორისო თოჯინურ ფესტივალზე ნომინაციაში „საუკეთესო ანსამბლი“ გაიმარჯვა, იმავე წელს თეატრალური პრემია „დურუჯის“ მე-10 საიუბილეო დაჯილდოებაზე წლის საუკეთესო რეჟისორის პრიზი გადაეცა ელენე მაცხონაშვილს. სპექტაკლი 2023 წელს აღადგინეს და იმავე წელს ყაზახეთში გამართულ ალმათის თოჯინების I საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გრან პრის მფლობელი გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გასული წლის განმავლობაში საქართველოში რეჟისორმა ყველაზე მეტი სპექტაკლი დადგა.

- საუბარი მინდა დავიწყო თეატრით, რომელშიც ახლა ვიმყოფებით და რომელსაც განსაკუთრებით ვგულშემატკივრობ. თამამად შემიძლია ვთქვა, ჩემი ყველაზე დიდი წარმატებები სწორედ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრთან არის დაკავშირებული. ეს ალბათ იმის დამსახურებაა, რომ აქ ამ დარგისთვის განსაკუთრებული და ფასდაუდებელი პროფესიონალები მუშაობენ. ხშირად ვამბობ, რომ ჩემს სპექტაკლებში ძლიერი მხარე არ არის რეჟისორი, ძლიერი მხარე არის ინსცენირების ავტორი ან ის გმირი, ვისზეც ვდგამთ სპექტაკლს და ის სამსახიობო შემადგენლობა, რომელიც ამ თეატრში მხვდება. დღეს განსაკუთრებული ფუფუნებაა, იმუშაო კარგ მეთოჯინესთან, იმ ადამიანებთან, რომლებსაც განსაკუთრებით უყვართ თოჯინური დარგი. რაც შეეხება სპექტაკლს „ძაღლი“, რომელზეც ახლა ვმუშაობთ, შეიძლება ითქვას, ნოდარ დუმბაძის შემოქმედება მთლიანად ათ მცნებაზეა დაფუძნებული. მისი ყველა ნაწარმოები ღმერთის მიერ დატოვებული გზავნილების ჩვენთვის ფაქიზად გადმოცემაა. ვფიქრობ, „ძაღლი“ ის ნაწარმოებია, რომელზეც სწორედ ახლა უნდა გამემახვილებინა ყურადღება. მოზარდებმა პიროტექნიკით ძაღლი რომ დააზიანეს, ეს, პირველ რიგში, ჩვენი - საზოგადოების, ოჯახის, ზოგადად, სისტემის ბრალია და ამაზე ღიად უნდა ვისაუბროთ, ყველამ უნდა ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა. მიმაჩნია, რომ მოზარდი, რომელმაც ამ შემთხვევაში ჩაიდინა ცუდი საქციელი, უფრო მსხვერპლია, ვიდრე დამნაშავე და მასთან ერთად პასუხისმგებელი ვართ საზოგადოებაც. ვეცდებით, მაქსიმალურად ფრთხილად, თბილად და საინტერესოდ მივიტანოთ სათქმელი ბავშვებთან, და არამხოლოდ მათთან. ჰუმანიზმი არავისთვის, არასდროს არის ზედმეტი. თემიდან გამომდინარე, თეატრის ხელმძღვანელობასთან ერთად, გადავწყვიტეთ, რომ სპექტაკლი +10 წლის ზემოთ მოზარდებისთვის გავმართოთ. დღევანდელ რეალობაში, როცა ბავშვი უყურებს ანიმაციას თუ კომპიუტერულ თამაშებს, სადაც კარგთან ერთად საკმაოდ დიდი დოზით არის აგრესია, მნიშვნელოვანია ამას დავუპირისპიროთ სიკეთე და შევძლოთ ბავშვებში სიყვარულის გაღვივება. რაც შეეხება სპექტაკლის ფორმას, ინსცენირება ოდნავ განსხვავებულია დედნისგან. აქ ლაპარაკობს ძაღლიც, მისი განცდები და ემოციები ადამიანური ენითაა მიტანილი მაყურებლამდე. როგორ ვახერხებ წლის განმავლობაში ამდენი სპექტაკლის დადგმას? მე ვარ ის ადამიანი და ხელოვანი, ვინც ფიქრზე ძალიან ცოტა დროს კარგავს. ვდგამ ან ვწერ იმას, რასაც ვგრძნობ და ჩემთვის ეს უფრო რეალურია. მსახიობებსაც ხშირად ვეუბნები, არ იფიქროთ, იგრძენით და რასაც იგრძნობთ, ის გადაეცით მაყურებელს-მეთქი. შარშან 14 სპექტაკლი დავდგი საქართველოში, ერთი - პორტუგალიაში, ასევე, მქონდა ორი დამოუკიდებელი პროექტი. წელსაც არაერთი გეგმა მაქვს. მუდმივ მოძრაობაში ვხედავ ყველაზე დიდ შვებას, - გვითხრა რეჟისორმა **ელენე მაცხონაშვილმა.**

თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი კიკვაძე, თვლის რომ თეატრის წარმატება გუნდურმა მუშაობამ განაპირობა. თითოეული თანამშრომელი თავდაუზოგავი, ყოველდღიური შრომით ქმნის პროდუქტს, რომელიც საზოგადოების მოწონებას იმსახურებს. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ელენე მაცხონაშვილის სპექტაკლს „წერილი ჯერალდინას“, რომელიც რეპერტუარში დააბრუნეს და მას არაერთი წარმატება ხვდა წილად.

- ვცდილობთ, თეატრი ცნობილი გავხადოთ არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრად უფრო ფართო მასშტაბით. ეს არ მოხდება, თუ თეატრი არ მივა მაყურებელთან. გასტროლების ფარგლებში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ვიყავით. ვაპირებთ აღებული გეზის გაგრძელებას. ჩვენს გუნდურ მუშაობას სულ უფრო მეტი წარმატება მოაქვს. მალე ჩვენი ერთგული მაყურებელი ახალ სპექტაკლს იხილავს. დარწმუნებული ვარ, ელენე მაცხონაშვილის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლი „ძაღლი“ მსოფლიოს მოივლის. მოგეხსენებათ, ნოდარ დუმბაძის ამ მოთხრობაში ისეთი თემაა წამოწეული, რაც მარადიულია და სამწუხაროდ, დღემდე პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებაში. რაც შეეხება გეგმებს, გვეყოლება მოწვეული რეჟისორები - დიმიტრი ღვთისიაშვილი და დავით საყვარელიძე. ეს ის რეჟისორებია, რომლებიც დღეს ქართული თეატრის სახეს და ღირსებას წარმოადგენენ. ჩემთვის ორივე მათგანი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა თეატრალურ სამყაროში. სავარაუდოდ, გაზაფხულზე, გასტროლით ვეწვევით გერმანიას. არაერთი ქვეყნიდან და ფესტივალიდან გვაქვს მიწვევა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად გადავწყვეტთ, სად გავემგზავროთ. წინ საინტერესო თეატრალური სეზონი გველოდება, რომელიც ბევრ სასიხარულო სიახლეს შესთავაზებს ერთგულ მაყურებელს, - თქვა **ირაკლი კიკვაძემ.**

7 ოჯახი საიმედო ადგილზეა გაყვანილი

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ პაქსაძეებში მეწყერი განვითარდა და საფრთხე შეუქმნა ადგილობრივებს. საავტომობილო მოძრაობა შეფერხდა სოფელ გელაძეებში მისასვლელ გზაზე

სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, გეოლოგიური სამსახურის სპეციალისტები.



გეოლოგების რეკომენდაციით, მეწყერული კერის არეალში მყოფი 7 ოჯახი გაყვანილია უსაფრთხო ადგილზე. მათ დროებით თავშესაფარში ცხოვრებას ფინანსურად ხულოს მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს. ამ ეტაპზე მეწყერული კერა აქტიურია და სპეციალისტები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ მის მონიტორინგს. სტიქიური პროცესების განვითარების დღიდან, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, შესაბამის სამსახურებსა და სპეციალისტებთან ერთად, აქტიურ კოორდინაციაშია დაზარალებულ მოსახლეობასთან. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ადგილობრივებმა უსაფრთხოდ გააგრძელონ ცხოვრება.

მოახლოებული არჩევნები – რას ფიქრობენ „გახარიას" პარტიაში?

მე-2 გვერდიდან

- როგორც ცნობილია, ნიკა მელია და მისი ფლანგი გამოეყო „ნაცმოძრაობას" და ახალი პარტიის შექმნაც დააანონსა. როგორ ფიქრობთ, რა შანსი აქვს მელიას ამ არჩევნებში და რამდენად ვარაუდობთ მის გაერთიანებას გვარამიასთან?

- მათ ვერ ექნებათ საკმარისი ელექტორალური რესურსი წარმატების მისაღწევად, თუმცა არ გამოვრიცხავ, „ნაცმოძრაობისადმი" სიმპათიით განწყობილი ამომრჩევლის გარკვეული რაოდენობა მიიმხრონ და ბარიერიც გადალახონ, მაგრამ ეს არსებითად ვერ შეცვლის სურათს, რადგან შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, შედეგი გვექნება იგივე. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ნაცვლად ერთი „ნაცმოძრაობისა", გვექნება ორი „ნაცმოძრაობა".

- მიაყენებს თუ არა ზიანს „ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგის ვარდნა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას და, მათ შორის, არჩევნებს?

- არანაირად. როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირიქით, „ნაცმოძრაობის" რეიტინგი რაც უფრო დაბალ ნიშნულზე იქნება, მით მაღალ ნიშნულზე ავა მომავალი დემოკრატიული პროცესები ამ ქვეყანაში. პირველ რიგში, ვისაც „ნაცმოძრაობის" შესუსტება არ აწყობს, ესაა დღევანდელი ხელისუფლება, რადგან დასუსტებული და დაქსაქსული „ნაცმოძრაობით" ვეღარ შეიყვანს ამომრჩეველს შეცდომაში.

- თქვენი აზრით, რას იღონებს „ნაცმოძრაობა" დაკარგული რეიტინგის აღსადგენად?

- წარმოდგენა არ მაქვს და მათი რეიტინგის მატების სურვილი უნდა მქონდეს, რომ რაიმე ტიპის პერსპექტივა დავინახო, სუბიექტურად მაინც, თუმცა, ობიექტურადაც არ ჩანს ჰორიზონტზე ამ პარტიის ნორმალური განვითარების პერსპექტივა. პარტია, რომლის ძირითადი სალაპარაკო თემა წლების განმავლობაში იყო ივანიშვილის ოლიგარქია და არაფორმალური მმართველობა, დღეს გვევლინება ასეთივე მმართველობის ნათელ მაგალითად. მათ ჰყავთ პარტიაში ოლიგარქიც და არაფორმალური მმართველიც კეზერაშვილისა და მერაბიშვილის სახით. წინააღმდეგობებით სავსე და არათანმიმდევრული პოლიტიკური პარტიაა. მიმდინარე პროცესებიც საკუთარ თავს დააბრალონ. მე სრულებით არ ვდელავ მათ რეიტინგზე.

- თქვენი აზრით, ამ არჩევნებზე პარტიებს შორის ძალები როგორ გადანაწილდება?

- ამას არჩევნების დღეს ყველა გავიგებთ და არ მინდა პოლიტიკური ანალიზითა და არაფრის მომცემი ვარაუდებით შეგაწყინოთ თავი. თუმცა გეტყვით, პროცესების როგორ განვითარებასაც ვისურვებდი ჩვენი ქვეყნის უკეთესი პერსპექტივისთვის: „ქართულმა ოცნებამ" და „ნაციონალურმა მოძრაობამ" ჯამში ვერ უნდა აიღონ 50%-ზე მეტი, რადგან თუ დასჭირდათ, ესენი ერთმანეთთანაც „დალაგდებიან", ერთმანეთსაც მოისყიდიან და თუ აუცილებლობა შეიქმნება - კოალიციასაც ჩამოაყალიბებენ.

- არჩევნებში უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ჩართულობა, თუმცა ამომრჩეველი დიდად არ აქტიურობს. რას აკეთებს თქვენი პარტია მოსახლეობის არჩევნებში უფრო მეტად ჩასართავად?

- ოფიციალურად ჯერ არ დაწყებულა საარჩევნო პროცესი, ამ დროს მოსახლეობას ახასიათებს კიდევაც ზოგადი პოლიტიკური ინერტულობა და ეს ჩვეულებრივი პროცესია. ამომრჩეველმა, პირველ რიგში, არჩევნების დღეს უნდა იაქტიუროს და ჩვენ ამისთვის, მაქსიმალურად, ყველა ღონეს ვიხმართ, რადგან ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი არჩევნები გველოდება წინ. ცვლილებების დროა და მგონია, რომ ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს.

მაია ბუწაშვილი – თურქეთში დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

საზოგადოების აზრით, თურქეთში მკურნალობა და დიაგნოსტიკა ყველაზე ხელმისაწვდომი ალტერნატივაა მათთვის, ვინც საქართველოში ვერ მიიღო სათანადო სამედიცინო მომსახურება, ან უკმაყოფილოა მისი ხარისხით. ქართველი პაციენტებისათვის თურქეთში გამგზავრება დიდი ხანია აღარ წარმოადგენს უჩვეულო მოვლენას - ყოველთვიურად ასობით ჩვენი მოქალაქე სტუმრობს სტამბოლისა თუ სხვა თურქული ქალაქების კლინიკებს

მათი აზრით, თურქეთში მომსახურების ფასები შეესაბამება სამედიცინო დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის საუკეთესო ხარისხს. თანაც, ძალიან ბევრი თურქული კლინიკა ფლობს საერთაშორისო აკრედიტაციას. ამ ყველაფერს ემატება უფასო სერვისები თურქული კლინიკების მხრიდან - უფასო ტრანსფერი აეროპორტიდან (და უკან), უფასო თარჯიმნის მომსახურება და პატრონაჟი ვიზიტის განმავლობაში. თუმცა სამედიცინო მოგზაურობის დაგეგმვამ შესაძლოა, გაუთვალსიწინებელი ხარჯები გამოიწვიოს როგორც უცხო ქვეყანაში განთავსების, ისე იქ დარჩენის ვადების განსაზღვრის, ტრანსპორტირების, დოკუმენტების თარგმნის და სხვა მრავალი მიმართულებით, რომ აღარაფერი ვთქვათ არასათანადო კლინიკის შერჩევის რისკზე. თურქეთში დიაგნოსტრებისა და მკურნალობის საკითხთან დაკავშირებით მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ინფექციონისტ მაია ბუწაშვილს მივმართეთ. - კარგა ხანია ამაზე საუბარი მინდა, მაგრამ რომ წარმოვიდგენ, ბევრი ადამიანი რა არასწორად გაიგებს და ამის გამო შემაჩვენებს, სულ ვარიდებდი თავს. თუმცა ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი საჭიროა. თურქეთში სამკურნალოდ წასვლასთან დაკავშირებით მინდა კომენტარი გავაკეთო. დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ საერთოდ არ ვარ ძალიან მაღალი აზრის ქართულ მედიცინაზე და არ ვთვლი, რომ პაციენტებს არ სჭირდებათ უცხოეთში მკურნალობა (ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ხშირად სჭირდებათ). კი, ბატონო, ბევრ შემთხვევაში აქ არასწორად ისმება დიაგნოზი, არასწორად ინიშნება მკურნალობა და საზღვარგარეთ წასვლით არაერთი პაციენტი გადარჩენილა, მაგრამ მხოლოდ ის, რომ კლინიკა ან ექიმი თურქეთშია და ამიტომ ეს უკვე ნიშნავს უკეთეს ხარისხს, ილუზია და თავის მოტყუებაა. სტამბოლში მართლაც არის ძალიან მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი რამდენიმე კლინიკა, მაგრამ იქ ყველა ვერ მიდის მაღალი ფასის გამო. უამრავი მაგალითია თურქეთში არასწორად დასმული დიაგნოზის, არასწორი მკურნალობის, პაციენტის მიმართ საშინელი გულგრილობის. რაც მთავარია, უმრავლეს შემთხვევაში, აშკარაა პაციენტებისთვის საჭიროზე ათჯერ მეტი კვლევის დანიშვნა (ფორმალური მიზეზი ის არის, რომ არ ენდობიან აქაურ კვლევებს, მაგრამ ძალიან ხშირად ისეთი კვლევებია დანიშნული, რაც საერთოდ არაფერ შუაშია პაციენტის მდგომარეობასთან და პირდაპირ ჩანს, რომ მხოლოდ ფულის გამოძალვას ემსახურება). ძალიან სამწუხაროა ის მესიჯები, რასაც ზოგჯერ თურქი სპეციალისტები ან ქართველი შუამავლები ეუბნებიან პაციენტებს, მაგალითად, რაღაც ამ ჟანრში: „საქართველოში უამრავ ადამიანს აქვს სიმსივნე და თქვენთან ნამდვილად რაღაც ხდება". ერთხელ ოდიოზური მალინას შესახებ ვისაუბრე, როგორ ატყუებს პაციენტებს, რომ C ჰეპატიტის სამკურნალო წამლები კიბოს იწვევს. სამწუხაროდ, ასეთი „მალინები" ანგარების და თურქეთის კლინიკებისკენ მეტი პაციენტის გადინების მიზნით რომ ამძიმებენ სიტუაციას, როგორც ჩანს, მრავლდებიან. თურქეთის ზოგიერთი კლინიკა მართლა „ცეხს" დაემსგავსა, სადაც ერთ თარგზე მოჭრილივით, კონვეიერულ სერვისს სთავაზობენ ქართველებს. მოკლედ, ამ ყველაფრის დედააზრი ის არის, რომ უფრო ფრთხილად, დაკვირვებულად ჩავაბაროთ ჩვენი ჯანმრთელობა თურქეთის კლინიკებს და გავიაზროთ, რომ ყველა არ იძლევა კარგი ხარისხის სერვისს. არაერთი ქართველი პაციენტის მსგავსად, ნუ დავკარგავთ დროს და უამრავ თანხას და უფრო დამძიმებული მდგომარეობით ნუ მივუბრუნდებით ქართულ კლინიკას. ყველას ჯანმრთელობას და ისეთ ქართულ ჯანდაცვას გისურვებთ, რომ აღარსად ვიყოთ გასაქცევი სამკურნალოდ, - გვითხრა მაია ბუწაშვილმა.

განცხადება

2024 წლის 10 თებერვალს, 12 საათზე, ბათუმის ცენტრალურ (6 მაისის) პარკში, ნიჩბოსნობის კლუბში გაიმართება აჭარის ნიჩბოსანთა რეგიონალური ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

აჭარის ნიჩბოსანთა რეგიონალური ფედერაცია

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 25/01/24, 18 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ირაკლი კახიძემ ფონდი დააარსა

მანანა ბიძიშვილი 598 24 94 97

უცხოეთში აღიარებულმა ქართველმა ტენორმა, ჩვენმა საამაყო თანაქალაქელმა ირაკლი კახიძემ, მეუღლე დიანა გოგოჭურთან ერთად, ფონდი დააფუძნა, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს საოპერო ხელოვნებაში გზის გაკვალვაში დაეხმარება. ფონდის პრეზენტაცია სასტუმრო „რადისონ ბლუ ბათუმში“ გაიმართა, რომელსაც დაესწრო ყველა, ვისაც ფონდთან შეხება უკვე აქვს და მომავალში სხვადასხვა ეტაპზე ექნება

პრეზენტაციას სხვებთან ერთად ესწრებოდა ფონდის მიერ მოწვეული საერთაშორისო საოპერო სააგენტო „აი ო ეი მენეჯმენტის“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი კალე კანტილა, თავად ირაკლი კახიძე კი პრეზენტაციას (თვითმფრინავმა დააგვიანა) ვერ დაესწრო, თუმცა მის მუშაობაში მესენჯერით ჩაერთო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კალე კანტილას აქვს სააგენტო, რომელიც 2012 წელს მიუნჰენსა (გერმანია) და ჰელსინკში (ფინეთი) ერთდროულად დაარსდა. იგი ერთ-ერთი უდიდესი და გავლენიანი სააგენტოა ევროპაში, რომელიც გერმანიის ყველა საოპერო თეატრთან თანამშრომლობს, ასევე, ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო საოპერო თეატრებთანაც, როგორებიცაა ლონდონის „კოვენტ გარდენი“, სტოკჰოლმის სამეფო ოპერა, დანიის სამეფო ოპერა, გლინდბურნის ფესტივალი, მარინის თეატრი, მადრიდის სამეფო თეატრი, ბარსელონას გრან თეატრი „დელ ლიცეუ“ და ბევრი სხვა. აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საოპერო თეატრებთანაც, მათ შორის, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენთან“.

კალე კანტილამ ბათუმში ყოფნის პირველ დღეს სტუდენტებისა და საოპერო სოლისტებისთვის მასტერკლასი ჩაატარა, იმავე და მომდევნო დღეს კი მოსმენები გაიმართა. ყველამ, ვინც მასტერკლასსა და მოსმენაში მონაწილეობდა, ერთხმად აღნიშნა, რომ ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, რომელსაც ფონდი საოპერო სფეროს წარმომადგენლებს აძლევს - მატერიალური ხარჯის გარეშე, ადგილზე, ქალაქიდან გაუსვლელად მონაწილეობა მიიღონ მასტერკლასში, ასევე, საერთაშორისო საოპერო სააგენტოს წარმომადგენლებთან გამართულ მოსმენაში. აქ შერჩევის შემთხვევაში, ისინი მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრში დასაქმდებიან, რაც მათ საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობაში დაეხმარება. სწავლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ, სტაჟირება მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო სტუდიაში გაიარონ, სადაც დაენიშნებათ სტიპენდია, მონაწილეობას მიიღებენ სპექტაკლებში საოპერო მომღერლებთან ერთად. კალე კანტილა ფინეთშია დაბადებული, ის წარმატებულად მოღვაწეობდა მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრის სპექტაკლებში. აქვს ჩატარებული მასტერკლასები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

ფონდის დაარსებას მიესალმა ყველა, ვისაც კი შეხება აქვს ამ სფეროსთან. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთ გამოხმაურებას.

თემურ კეშერაძე, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი:

- ფონდის დამაარსებელი ირაკლი კახიძე ჩვენი სასწავლებლის აღზრდილია. ის მანამდეც ზრუნავდა უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის გაძლიერებაზე. ირაკლის სურვილია, ბათუმი მუსიკალურ ცენტრად აქციოს, რადგანაც ჩვენთან, ხმების მხრივ, ამის შესაძლებლობა არის.

ირაკლი კიკვაძე, ფონდის დირექტორი:

- მოხარული ვარ, რომ ასეთ პროექტში ვმონაწილეობ, დიდი მადლობა ირაკლის ამ სიკეთისთვის. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ფონდი ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს, ძალიან ბევრ ახალგაზრდას გაუკვალავს გზას ევროპისკენ. ეს ფონდი მარტო საოპერო მომღერლებს კი არა, ზოგადად, იმ ახალგაზრდებს დაეხმარება, ვინც ხელოვნების მიმართულებით სწავლაში გამოირჩევა და კარიერული წინსვლა სურს.

ნონა კორიშაძე, საოპერო დასის სოლისტი:

- ერთი წლის წინ პარიზში გავიარე სტაჟირება, დღეს კი ჩემი პირველი მნიშვნელოვანი მოსმენა იყო და ძალიან კმაყოფილი ვარ. კარგია, რომ ირაკლი ასეთ შესანიშნავ საქმეს ჩაუდგა სათავეში. ყველაფერს აკეთებს, რომ ევროპაში გასვლის შანსი მოგვეცეს. აქედან წასვლა მოსმენებზე ძალიან ძვირი სიამოვნებაა და ასეთი აგენტის ჩამოყვანა, ჩვენთვის ნამდვილად დიდი ფუფუნება იყო. მადლობა ირაკლის ასეთი შანსის მოცემისთვის.

ნატალია ცქვიტინიძე, ხელოვნების უნივერსიტეტის მაგისტრანტი:

- მადლობა ირაკლი კახიძეს, რომ ახალგაზრდებს მონაწილეობა მიგვაღებინა ასეთ პროექტში და შესაძლებლობა მოგვცა, წარმოგვეჩინა თავი. მივიღეთ რჩევები, რომელსაც მომავალში გამოვიყენებთ. ბატონმა კალემ თბილი დამოკიდებულებით დაძაბულობა მოგვიხსნა და ჩვენც უფრო მოვინდომეთ. იმედია, ასეთი მოსმენა ხშირად ჩატარდება.

მარიამ ჯახუტაშვილი, ბათუმის მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის ხელმძღვანელი:

- მადლობა უნდა ვუთხრათ ირაკლის ასეთი მაღალი დონის ფონდის დაფუძნებისთვის. არა მხოლოდ სოლისტებს, არამედ სტუდენტებსაც მიეცათ მოსმენაზე გასვლის შესაძლებლობა, რაც ასე მნიშვნელოვანია. აგენტმა მიუთითა, რაზე გაამახვილონ ყურადღება. ისიც მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ძალიან კარგი მომღერლები დავახვედრეთ.

ეთერ ხალვაში, სოლისტი, ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი:

- მე მოსმენის მონაწილეც გახლდით პროფესიონალებს შორის. ამ ეტაპზე ეს ყველაფერი სოლისტებსა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებზე ვრცელდება, მაგრამ მოგვიანებით, რეგიონებსაც კი მოიცავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

- ფონდი, უპირველესად, ახალგაზრდების დახმარების მიზნით დაფუძნდა, - გვითხრა ირაკლი კახიძემ, - იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ძალიან ნიჭიერები არიან, მაგრამ დღეს ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე ფიქრობენ. ეს მე უკვე გამოვიარე, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ძალიან ბევრი კეთილი ადამიანი, ვინც გვერდით დამიდგა. რაც შეეხება ფონდს, იგი მალე საქველმოქმედოს სტატუსს მიიღებს და საერთაშორისო თანამეგობრობა დაინახავს, რომ ფონდი მოგებაზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ ახალგაზრდების დასახმარებლად შეიქმნა. ჩვენ მათ მონაცემების განვითარებაში უნდა შევუწყოთ ხელი. ვიწყებთ ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტით და არა მარტო ვოკალისტებს, არამედ ყველა ნიჭიერ და შედარებით ხელმოკლე ახალგაზრდას გავუმართავთ ხელს. მინდა ჩემს ქვეყანას იმის ნახევარი მაინც დავუბრუნო, რაც მან ჩემთვის გაიღო. ფონდისთვის რომელიც მე და ჩემმა მეუღლე დიანა გოგოჭურმა დავაარსეთ, ძალიან კარგი გუნდი შეირჩა. მეუღლე ჩემთვის ის ადამიანია, რომელსაც სიცოცხლეს, სულსა და გულს ვანდობ, ის ცხოვრების ყველა ეტაპზე დამეხმარა, ასევე ჩემი პედაგოგები, მეგობრები. ფონდს ურთიერთობა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრთანაც ექნება. გვერდით დავუდგები ახალ სამხატვრო ხელძღვანელ ზვიად ბოლქვაძეს, რომელიც ჩემი ბავშვობის მეგობარია... კალე კანტილა, რომელიც დღეს ჩემი აგენტი და მეგობარია, სამი დღის გაცნობილი მყავდა, ბათუმში წამოსვლა რომ შევთავაზე. არაფერი იცოდა საქართველოს, ბათუმის შესახებ. რომ ჩამოვიდა, ქალაქითაც აღფრთოვანდა, სტუდენტებითაც, პროფესიონალი მომღერლებითაც. იმედი მაქვს, ჩვენი შრომა, მისია - მეტი ქართველი მომღერალი ევროპასა და ამერიკაში, ფუჭად არ ჩაივლის. ამისთვის თავს არ დავზოგავ. ყველაფერს კი ტენორებით დავიწყებ.

კალე კანტილა:

- ჩამოსვლის დღიდან ვიგრძენი თქვენი მეგობრული, თბილი დამოკიდებულება. არაჩვეულებრივი ხალხი ხართ, ყველა შესანიშნავი ადამიანი შემხვდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო მაღალი ორგანიზებულობა. ყველა, ვისაც მოვუსმინე, იყო ძალიან მოწესრიგებული... მე ვმუშაობ ყველა გერმანულ თეატრთან, შვეიცარიასთან, ავსტრიასთან, კავშირი მაქვს სკანდინავიის ნახევარკუნძულებთან. აქ არაერთი მომღერალი შევარჩიე, ვისაც ფეხდაფეხ გავყვები და ხელს ყველანაირად შევუწყობ. თეატრებამდე მათ მუშაობა სჭირდებათ და ამ სამუშაოშიც დავეხმარები. საქართველოს მსოფლიოში წარდგინება არ სჭირდება, რადგან თავისი მდიდარი ხმებით მართლაც გამორჩეულია. მაგრამ ჩვენ გვინდა იმ ახალგაზრდებს დავეხმაროთ, რომლებსაც ხელის შეწყობა სჭირდებათ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საქართველო და ქართული საოპერო ხმები ყოველთვის და ყველგან, დიდ სიტყვას ამბობს მსოფლიოში. მე შევეცდები, ეს სიტყვა კიდევ უფრო ხმამაღლა ითქვას. ცალკე აღვნიშნავ ქართულ სამზარეულოს, ეს საოცრებაა. ამ მოსმენას, მჯერა, კარგი შედეგი მოჰყვება. დიდი მადლობა ირაკლი კახიძეს, რომ საქმეს ასე კარგად უძღვება. მასთან მუშაობა სასიამოვნოა არა მარტო როგორც მაღალი კლასის ტენორთან, არამედ როგორც მაღალი კლასის ორგანიზატორთან. იმედი მაქვს, მე და ირაკლი ძალიან ბევრს გავაკეთებთ თქვენი ქვეყნისთვის.